

მასნავიაბის  
ეთიკუს  
სახელმძღვანელო



სიტუაციები  
სასკოლო ცხოვრებიდან

ავტორები: მაია ინასარიძე  
სოფიკო ლობჟანიძე  
შორენა მამუკაძე

ილუსტრაციები: მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი: მაია მენაბდე

საკონსულტაციო საბჭო: ლელა სამნიაშვილი  
ნათია ნაცვლიშვილი  
ნინო ელბაქიძე  
სოფიო გორგოძე

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი ბაგრატიონი

© „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“, 2009.

თბილისი, 0102, უზნაძის ქ. 52.  
ტელ: (+995) 91 14 53, 95 13 02/04  
ვებ-გვერდი: [www.tpdc.ge](http://www.tpdc.ge) ელ-ფოსტა: [info@tpdc.ge](mailto:info@tpdc.ge)

ISBN 978-9941-0-1998-2

## ძვირფასო მასწავლებლებო!

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სასკოლო ცხოვრებიდან აღებულ სიტუაციებს, სადაც მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მიერ აღწერილია შემთხვევები, რომლებმაც თითოეული მათგანი ეთიკური დილემის წინაშე დააყენა. შემთხვევებს თან ახლავს მასწავლებლის, განათლების სპეციალისტისა და ფსიქოლოგის კომენტარები, რომლებიც აფასებენ სიტუაციას, სიტუაციაში მონაწილე პირების ქმედებას და საუბრობენ იმაზე, თუ რა იქნებოდა სასურველი გამოსავალი ამა თუ იმ შემთხვევაში.

სახელმძღვანელოს შექმნის იდეა მასწავლებლის ეთიკის კოდექსს უკავშირდება. ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს მოეთხოვება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შექმნა. აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა საქართველოს სკოლებში არსებული სიტუაციის შესწავლით დავიწყეთ. თავდაპირველად, სკოლებში მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა და სამუშაო შეხვედრები ჩავატარეთ, რათა გავცნობოდით, რა სახის ეთიკური პრობლემები არსებობს მათ ურთიერთობებში. ჩვენ ვთხოვთ მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს, აღწერათ ისეთი შემთხვევები სასკოლო ცხოვრებიდან, რომლებიც ერთგვარ ეთიკურ პრობლემას წარმოადგენდა მათთვის. შევაგროვეთ უამრავი მასალა და ამის შემდეგ გავაკეთეთ პრობლემური საკითხების ნუსხა. პირველ რიგში, ის საკითხები შევიტანეთ ეთიკის კოდექსში, რომლებიც, გამოკითხვისა და სამუშაო შეხვედრების საფუძველზე, განსაკუთრებით აქტუალურად მივიჩნიეთ. აგრეთვე, მუშაობის პროცესში გავეცანით საერთაშორისო გამოცდილებას. როდესაც შეიქმნა მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი სამუშაო ვერსია, კომენტარებისათვის დავუგზავნეთ საქართველოს სკოლებს. მასწავლებლების მიერ შემოთავაზებული შენიშვნებისა და შემოთავაზებების საფუძველზე, შევიტანეთ ცვლილებები. ამჟამად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, დოკუმენტის საბოლოოდ დახვეწის მიზნით, აგრძელებს ეთიკის კოდექსზე მუშაობას.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლის ეთიკის კოდექსი დღეს საკმაოდ ბევრ ქვეყანაში არსებობს და, პროფესიული ქცევის შეფასებისას, მნიშვნელოვან დოკუმენტად ითვლება, იგი მაინც ზოგადი ხასიათისაა. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, შეგვექმნა სახელმძღვანელო, სადაც კონრეტული შემთხვევები იქნებოდა განხილული და დაგვერთო ექსპერტების კომენტარი, რათა მასწავლებლებისათვის უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო კოდექსში შესული

სხვადასხვა პუნქტის აქტუალობა და ამა თუ იმ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების შედეგები.

სახელმძღვანელოში შეტანილი სიტუაციები გადმოცემულია მაქსიმალური სიზუსტით, გასწორებულია მხოლოდ სტილური შეცდომები. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმის მიხედვით, თუ ვინ გვიყვება სიტუაციას, ადგილი ექნება შემთხვევის მისეულ ინტერპრეტაციას. ბუნებრივია, სიტუაციის აღნერისას, მთხოვბელისუბიექტურია, ამიტომ თითოეული შემთხვევა ექსპერტების მიერ მაქსიმალურად ობიექტურად, რომელიმე მხარის პოზიციის დაცვის გარეშეა განხილული.

გარდა იმისა, რომ მასწავლებლებს, პროფესიული ქცევის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ეს სახელმძღვანელო გარკვეულ დახმარებას გაუწევს, ვფიქრობთ, იგი ძალზედ მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ საქართველოს სკოლებში არსებულ რეალობას აღწერს, იმ რეალობას, რომელიც სკოლის კედლებს გარეთ ხშირად შეიძლება არც კი გამოდის.

აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო სახელმძღვანელოზე მომუშავე ავტორთა ჯგუფს, ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩვენს სამუშაო შეხვედრებში, გაგვიზიარა თავისი შეხედულება, შენიშვნა და მოსაზრება; ასევე იმ მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს, ვინც ეს სიტუაციები მოგვაწოდა. მათი მხარდაჭერისა და გულწრფელობის გარეშე, ამ სახელმძღვანელოს შექმნა შეუძლებელი იქნებოდა.

პატივისცემით,  
**სოფიო გორგოძე**  
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების  
ცენტრის დირექტორი

## შესავალი

ეთიკა ბერძნული სიტყვაა და „ზნეს“, „ჩვეულებას“ ნიშნავს. როგორც ტერ-მინი, „ეთიკა“ პირველად არისტოტელემ გამოიყენა თავის ფილოსოფიურ (და პედაგოგიურ) თხზულებაში „ნიკომაქეს ეთიკა“, რომელიც მან თავისი ვაჟიშვილისთვის დაწერა. ეთიკურ საკითხებზე მსჯელობა ბერძნულ ფილოსოფიაში არისტოტელემდეც გვხვდება. ამ პრობლემებზე მსჯელობდა თავის დიალოგებში პლატონი, არისტოტელეს მასწავლებელი, ხოლო სოკრატე პირველი ბერძენი ფილოსოფოსი იყო, რომელიც საგანგებო ყურადღებას აქცევდა ზნეობის საკითხებს. სოკრატეს მოსწავლეებმა (პლატონი, ქსენოფონტე) დაგვიტოვეს მისი, როგორც იდეალური მასწავლებლის ხატი.

თანამედროვე პედაგოგიური აზროვნება უშუალოდ არის დაკავშირებული სოკრატეს სახელთან. დღეს სოკრატული მეთოდი ფართოდ გამოყენებული ინტერაქტიული მეთოდია. სოკრატე არ ქადაგებდა, ის ამა თუ იმ თემაზე დიალოგში იწვევდა თავის მოსწავლეებს და ამ გზით ეხმარებოდა მათ, თავად შეეცნოთ ჭეშმარიტება. დიალოგებში იგი არასოდეს ამჟღავნებდა თავის უპირატესობას და მონაფეებს განიხილავდა, როგორც ინტელექტუალურ პარტნიორებს. იგი საკუთარი მოსწავლეების ზნეობას მკაცრი კრიტერიუმების მიხედვით აყალიბებდა, არა დამოძღვრის ფორმით, არამედ პირადი მაგალითითა და პრაქტიკული საქმიანობით, რომელშიც ყოველთვის ჩართული ჰყავდა მოსწავლეები. ეთიკურ პრობლემებზე მსჯელობა მხოლოდ ძველ ბერძენ ფილოსოფოსებთან როდი გვხვდება. უფრო ადრე ეთიკური მოძღვრების ხასიათი ჰქონდა ძველ ჩინელ ბრძენთა ფილოსოფიურ ნააზრევსაც (ლაო-ძი, კონფუცი). საბოლოოდ, ეთიკა ფილოსოფიას გამოეყო და მის ერთ-ერთ დისციპლინად ჩამოყალიბდა.

ეთიკა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ადამიანთა ქცევის ნორმებს სწავლობს, ის უფრო აღნერითი და გამოყენებითი მეცნიერებაა, ვიდრე თეორიული. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ამჟამად ფილოსოფია აღარ არის ერთადერთი მეცნიერება, რომლის შემადგენელ დისციპლინათა ჩამონათვალში ეთიკაც მოიაზრება. არსებობს ეთიკა, როგორც თეოლოგიური დისციპლინა; ეთიკა, როგორც პედაგოგიური დისციპლინა და ა.შ.

ეთიკის, როგორც პედაგოგიური დისციპლინის, ჩამოყალიბების სათავედ შეიძლება მივიჩნიოთ XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნის ცნობილი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგისა და პედაგოგის იოპან ფრიდრიხ პერბარტის ნააზრევი (1776–1841). მას უწოდებენ უკანასკნელ ფილოსოფოსს პედაგოგებს შორის და უკანასკნელ პედაგოგს ფილოსოფოსთა შორის. პერბარტმა ეთიკა, როგორც მეცნიერება, ჩააყენა პედაგოგიკის სამსახურში და აღზრდის უმთავრეს მიზნად ზნეობრივი აღზრდა მიიჩნია.

ეთიკით, როგორც პედაგოგიური დისციპლინით, დაინტერესებულნი იყვნენ ქართველი მოღვაწეებიც, განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი.

რუსიფიკატორული წესის ქვეშ მოქცეული ქართული სკოლის შესახებ იაკობ გოგებაშვილი გულისტკივილით წერდა: „...ჩვენში ეთიკური ცხოვრების არავითარი საყრდენი აღარ არის... სახალხო სკოლა წესიერი აღზრდის ნაცვლად უფრო ამახინჯებს ბავშვებს“ (ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 229). იგი ძალისხმევას არ იშურებდა იმისათვის, რომ სკოლა ბავშვის გონიერივი და ზნეობრივი სრულყოფის ადგილად ქცეულიყო. ეცნობოდა რა მსოფლიო მონინავე პედაგოგიურ პრაქტიკას, იაკობ გოგებაშვილი განათლების მთავარ დანიშნულებად თვლიდა, რომ სკოლას „ოსტატობითა და სიადვილით“ გაემდიდრებინა მონაფების გონება, ესწავლებინა „ზედმინევნით ბუნების ძალთა მოხმარება“, აევსო მათი გულები „მაღალის ადამიანურის გრძნობებით“, მიენიჭებინა მტკიცე ხასიათი, აღეზარდა მათში საკუთარი თავის რწმენა, პასუხისმგებლობა საზოგადოების, ხალხის, ქვეყნის წინაშე. ამაში იაკობ გოგებაშვილი უდიდეს როლს მასწავლებელს აკისრებდა.

იაკობ გოგებაშვილის მსგავსად, ილიაც სწავლობდა თავისი დროის მსოფლიო პედაგოგიკის მონინავე გამოცდილებას, რათა ქართულ სკოლაში საუკეთესო პრაქტიკა დაეწერგა. ილიასათვის სამაგალითო იყო ვიტორინო დე ფელტრეს იდეა, რომ „... თავისუფალი არსება თავისუფლად უნდა იზრდებოდეს ო უტყეპ-უცემლად, ვიტორინო უძღვებოდა თავის შეგირდების წვრთნას მაგალითოთა და ჩაგონებით და... სამუდამოდ და უკუ-დაუბრუნებლად განაძევა თავის სკოლიდამ ხორცთა საჯელი“ (ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, გვ. 220). ილიას სურდა, ქართულ სკოლაში ასეთი მიდგომა დაენერგა.

ილია ჭავჭავაძისათვის მისაღები იყო ისეთი საგანმანათლებლო (ილია იყენებს ტერმინს „საპედაგოგიო“) სისტემა, რომელიც ბავშვს მისცემდა საშუალებას, სრულად გამოევლინა საკუთარი შესაძლებლობები, იგი ამ საქმეში მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ოთხ პრინციპს, „ოთხს დედა-აზრსა“: პირველი ის, რომ პიროვნების აღზრდისას მაქსიმალურად უნდა გამოვლინდეს მისი შესაძლებლობები – „საგანი აღზრდისა ის არის, რომ თავის რიგსა და წესზედ წარმატებულ იქნას ყოველი ძალი და ნიჭი ადამიანისა, როგორც გონებითი, ისე ზნეობითი, როგორც სულიერი, ისე ხორციელი“; მეორე ის, რომ სწავლება-სწავლის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებანი – „სწავლებაში უნდა სახეში მიღებულ იქმნას არა მარტო ასაკი და წლოვანება მონაფისა, არამედ მისი განსაკუთრებულნი ზნენი და თვისებანი“; მესამე ის, რომ ყოველგვარ დარიგებაზე მეტად, მოსწავლეზე წინაპართა სახელმიწანი ცხოვრების მაგალითები ახდენს გავლენას – „რადგანაც ბავშვის ცოცხალსა, მკვირცხლსა და ადვილად აღმბეჭდავ ბუნებაზედ ცოცხალი მაგალითი უფრო ძლიერ მოქმედობს, ვიდრე მკვდარი წესი და დარიგება, ამიტომაც ყველაზედ უკეთესი ღონე ის არის, რომ მონაფეს წინ გადაუშალოს

ოსტატმა ცხოვრება დიდ-ბუნებოვანთა კაცთა, რომელნიც ასე ბევრნი მოიპოვებიან ძველს დროში“; მეოთხე ის, რომ სწავლა-აზრდაში უდიდესი როლი ენიჭება თავისუფალ აზროვნებასა და ბუნებისა და საზოგადოების კანონზომიერებების შესწავლას – „სწავლა-ცოდნა და ერთობ განათლება უნდა დაფუძნებული იყოს თავისუფალ მეცნიერებათა შესწავლაზედ. ამ მეცნიერების სათავეში სდგას ფილოსოფია, რომელიც ადამიანს გონებითად თავისუფალს ჰქდის. მას მოსდევს მეცნიერება, მჭევრმეტყველება... მერე მოდის ბუნებისმეტყველება, რომელიც გვაგებინებს ჰარმონიას ყოველ მისას, რაც არსებობს... და ბოლოს ისტორია, რომელიც მოგვითხრობს სვლასა და განვითარებას მეცნიერებისას და მრავალს სასარგებლო მაგალითს თვალ-წინ გვიყენებს“ (ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, გვ. 221).

ილია ჭავჭავაძე დარწმუნებული იყო, რომ ქვეყნის ძლიერების გარანტი პროფესიონალი მასწავლებელი და კარგად მოწყობილი სკოლაა. იგი წერდა: „1870 წელსა, როცა გერმანიამ თავს-ზარი დასცა მინამდე თითქმის უძლეველს საფრანგეთსა..., სთქვეს, რომ გერმანიის სკოლის მასწავლებელმა სძლია საფრანგეთსა და დაამარცხაო... როგორც ეტყობა, მიზეზი ძლევამოსილობისა იგივ სკოლის მასწავლებელია, იგივ სწავლა და განათლება“ (ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, გვ. 218).

დღევანდელი სკოლის უმთავრესი ფუნქციაა, დაეხმაროს მოსწავლეს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ლირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაში; ჩამოყალიბოს მოსწავლე სამოქალაქო ლირებულებების მატარებელ პიროვნებად, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი მოვალეობები კაცობრიობისა და ბუნებრივი გარემოს მიმართ (იხ. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები). ამის მიღწევა შესაძლებელია ეთიკური თვალ-საზრისით ჩამოყალიბებული, სამაგალითო პიროვნების დახმარებით. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში პროფესიონალი და კომპეტენტური მასწავლებლის ფუნქცია შეუცვლელია.

რა ქმნის მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის საფუძველს?

პირველი იმ საგნის/საგნობრივი ჯგუფის ზედმიწევნით ცოდნაა, რომელსაც მასწავლებელი სკოლაში ასწავლის. აგრეთვე, მაღალკვალიფიციური მასწავლებელი მუდმივად ზრუნავს თავის პროფესიულ განვითარებაზე.

მეორე მასწავლებლის მიერ განვითარებისა და სწავლის თეორიების ცოდნაა. კაცობრიობის დიდი მასწავლებლებისა და სკოლების მრავალათასწლიანი გამოცდილება და ტრადიციები უხვად დაგროვდა და ისინი მრავალრიცხვანი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური თეორიების სახით ჩამოყალიბდა. თანამედროვე მსოფლიო პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში არსებული განვითარებისა და სწავლის თეორიები ასახავს ბავშვის ასაკობრივი განვითარების

კანონზომიერებებს, აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე და იძლევა რეკომენდაციებს მოსწავლის სწავლის ხელშეწყობისათვის. განვითარებისა და სწავლის თეორიების ცოდნა გაუადვილებს მასწავლებელს კლასის მართვასა და წარმატებული სასწავლო პროცესის წარმართვას.

მესამე მასწავლებლის მხრიდან შეფასების სისტემის ცოდნაა. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, როგორ გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა ფორმა შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული მიღებისას. მან უნდა განუვითაროს მოსწავლეებს ობიექტური შეფასებისა და თვითშეფასების უნარი, საკუთარი შესაძლებლობებისა და ღირსებების რწმენა, სხვათა შესაძლებლობების აღიარება და დაფასება. შეფასების მეთოდების ცოდნა და მისი პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენება დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა მოტივაციაზე, რაც წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

მეოთხე მასწავლებლის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვაა. მაღალკვალიფიციური მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებაში, იმავდროულად, უტოვებს თავისუფალი არჩევანის უფლებას, აძლევს მოსწავლეებს ურთიერთპატივისცემისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ცხოვრებისუფლ გაკვეთილებს. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი ამას აკეთებდეს თავისი პიროვნული მაგალითით. პედაგოგის ეთიკურ ღირებულებათა სისტემა, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება ურთიერთობებში. ეს არის ურთიერთობა მოსწავლეებთან, მშობლებთან და კოლეგებთან.

მასწავლებელს ყველაზე ინტენსიური ურთიერთობა, ცხადია, მოსწავლესთან უხდება. განათლების ექსპერტები და ფსიქოლოგები გამოყოფენ ბავშვთან ურთიერთობის რამდენიმე სტრატეგიას (სტილს), მათ შორის: ავტორიტარულს, დემოკრატიულსა და ლიბერალურს.

ურთიერთობის ავტორიტარული სტილი ბავშვისაგან მოითხოვს მორჩილებას. ბავშვს აქვს შედარებით პასიური პოზიცია. მასწავლებელი ცოდნას გადასცემს მოსწავლეებს, იგი ნაკლებად იზიარებს მოსწავლეთა აზრებს სასწავლო პროცესში, მოსწავლეები ვერ ეჩვევიან საკუთარი ქცევის მართვას. ურთიერთობის ავტორიტარული მოდელი დამახასიათებელია მასწავლებელზე ორინტირებული სასწავლო პროცესისათვის.

ურთიერთობის ლიბერალური სტილი – მასწავლებელი ცდილობს მოსწავლესთან თანამშრომლობას, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ყოველთვის მაინც მოსწავლე იღებს. ბავშვს უყალიბდება ზედმეტი დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის გრძნობა.

ურთიერთობის დემოკრატიული სტილი უზრუნველყოფს ბავშვის აქტიურ პოზიციას. მასწავლებელი ცდილობს ითანამშრომლოს ბავშვთან ნებისმიერი ამოცანის გადაჭრისას. მასწავლებელი უხსნის ბავშვს ნორმატიული დისციპლინირებული ქცევის მნიშვნელობას, ასწავლის საკუთარი ქცევის მართვას,

ქმნის ნდობისა და ურთიერთგაგების პირობებს, უყალიბებს მას „ჩვენ“ და-მოკიდებულებას (ერთობლივი ქმედების სურვილს). დისციპლინა ხდება თვით-რეგულირებადი, თვითმართვადი.

მაღალკვალიფიციური მასწავლებელი იცნობს მოსწავლეებთან ურთიერთობის სამივე სტილს და, პრაქტიკული საქმიანობისას, ახდენს მათ სინთეზს მოსწავლის საჭიროებების მიხედვით. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლე მიიღოს, როგორც ინდივიდუალობის მქონე ადამიანი. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეს უჩნდება იმედი, რომ მას გაუგებენ და მხარს დაუჭერენ. ამგვარი დამოკიდებულების შედეგად, მცირდება წინააღმდეგობა, ბავშვი უფრო ადვილად იღებს და ითავისებს მასწავლებლის მოთხოვნებსა და შეხედულებებს. თუ ურთიერთობები იგება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და თანამონაწილეობის საფუძველზე, თითოეულ მხარეს ეძლევა თვითრეალიზაციისა და პიროვნული ზრდის შესაძლებლობა. ურთიერთობის ეფექტურობის შეფასებისას, აქცენტი უნდა გაკეთდეს არა მარტო იმაზე, თუ რამდენად შეიცვალა მოსწავლის არასასურველი ქცევა სასურველით, არამედ იმაზეც, თუ რამდენად შეიცვალა თვად პედაგოგი, რამდენად განვითარდა იგი პროფესიული და პიროვნული თვალსაზრისით.

მასწავლებლის პროფესიული მოვალეობებიდან ერთ-ერთი უმთავრესია მოსწავლეების მშობლებთან ურთიერთობა. ამ ურთიერთობამ ხელი უნდა შეუწყოს სწავლებისა და სწავლის ეფექტურობას. ნებისმიერ თანამშრომლობას აუცილებლად აქვს თავისი პირობები, რომელთა დაცვის გარეშე თანამშრომლობა ვერ შედგება. მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობის ასეთი არსებითი და აუცილებელი პირობა ეთიკური ნორმების დაცვა, ურთიერთნდობა და კეთილგანწყობაა.

კონფლიქტი მასწავლებელსა და მშობელს შორის შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებით, კერძოდ: კომპეტენციის დეფიციტითა და აზრთა სხვადასხვაობით, ან მოვალეობებით, რომებსაც მასწავლებელი და მშობელი ერთმანეთს აკისრებენ.

კომპეტენციის დეფიციტი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ მასწავლებლისა და მშობლის წარმოდგენათა განსხვავებაში. მოსწავლის ცოდნისა და უნარების ობიექტური შეფასება საგნის მასწავლებლის პრეროგატივაა, ამ სფეროში მშობელს შეიძლება არასაკმარისი კომპეტენცია ჰქონდეს. მშობელსა და პედაგოგს შორის აზრთა სხვადასხვაობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კონტაქტების უქონლობა და ინფორმაციის ნაკლებობაა, ამიტომ, სასურველია, მასწავლებელმა მჭიდროდ ითანამშრომლოს მშობლებთან, გააცნოს მათ სასწავლო მიზნები, გაარკვიოს მშობელი შეფასების ახალი სისტემის არსში, მუდმივად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ,

მისცეს მას რჩევები და რეკომენდაციები. ბავშვის ქცევა სკოლაში და ბავშვის ქცევა სახლში — ქცევის ეს ორი მოდელი ქმნის ქცევის საერთო სურათს. მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობით, შესაძლებელი ხდება ამ მოდელის სრული სურათის შექმნა-კონსტრუირება. ეს ხელს შეუწყობს მასწავლებელს, რომ ეფექტური იყოს მისი ინდივიდუალური მიღვომა მოსწავლესთან.

მოვალეობები, რომლებსაც მასწავლებელი და მშობელი ერთმანეთს აკის-რებენ. სკოლა და ოჯახი არის სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფი თავისი მრავალფეროვანი სპეციფიკური ფუნქციებითა და დამოკიდებულებებით. ხშირად მასწავლებელი და მშობელი, გარემოებებისა და შესაძლებლობის გათვალისწინების გარეშე, აკისრებენ ერთმანეთს უამრავ მოვალეობას, რაც საბოლოო ჯამში გაუგებრობებს იწვევს. ასეთ შემთხვევაში, ყველაზე კარგი გამოსავალი სკოლის საქმიანობის შესახებ არსებული იურიდიულ-ნორმატიული რესურსების ცოდნაა. კერძოდ, ეს არის კანონი ზოგადი განათლების შესახებ, სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული თითოეული მხარის უფლება-მოვალეობანი, სამეურვეო საბჭოს დებულება, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მასწავლებლის ეთიკის კოდექსი. სასურველი და საჭიროა, სკოლის შიდა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესი გამჭვირვალე იყოს და ყველას, ვისაც ის ეხება, ჰქონდეს მის შექმნაში თანამონაწილეობის საშუალება.

ზოგჯერ მშობელთან თანამშრომლობა სწორედ მშობლის მიზეზით ვერ ხერხდება, მაგრამ ასეთი მიზეზი არ ამცირებს მასწავლებლის როლს. მასწავლებელმა უნდა დაანახოს მშობელს, რომ მხოლოდ მასთან მუდმივი კონტაქტით, ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება სასურველი შედეგების მიღწევა.

თუ პედაგოგი ბავშვზე საუბრობს პატივისცემით, ხედავს მის არა მარტო უარყოფით, არამედ დადებით მხარეებსაც, მაშინ ის მშობლის სახით იღებს მოკავშირეს სწავლებასა და აღზრდაში. უმჯობესი იქნება, თუ მასწავლებელი მშობელთან საუბარს დაიწყებს ჯერ ბავშვის პოზიტიური მხარეების დახასიათებით, შემდეგ გადავა პრობლემურზე და სთავაზობს მშობელს პრობლემის გადაჭრის გზების ერთობლივად ძებნას. ამ სტრატეგიის გამოყენების შემთხვევაში, მშობელი ხედავს, რომ მასწავლებელი სთავაზობს რჩევებსა და თანამშრომლობას პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებაში. უმჯობესი იქნება, თუ მასწავლებელი კი არ შეაფასებს (მაგალითად, თქვენი შვილი საშინაო დავალებას არ ამზადებს, გაკვეთილზე ხმაურობს) და დასკვნის გამოტანისა და შეფასების საშუალებას თვითონ მშობელს უტოვებს. ასეთი მიღვომა უფრო მეტად გაულვივებს მშობელს პედაგოგისადმი ნდობას და თანამშრომლობისაკენ განაწყობს.

პროფესიული ეთიკა, ეს არის კონკრეტული სოციუმის შიგნით მოქმედი ქცევის ნორმები, რომელთა გარდაუვალი და უპირობო დაცვა არის პროფესიული საქმიანობის აუცილებელი პირობა. პედაგოგების ერთმანეთთან კოლეგიალური დამოკიდებულება და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა პოზი-

ტიური მაგალითია მათი აღსაზრდელებისა თუ მშობლებისათვის. ამასთან, ეს დამოკიდებულება განსაზღვრავს, ზოგადად, სკოლის სოციალურ-ფსიქოლოგიურ გარემოს. სკოლის პოზიტიური სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემო ძალზე მნიშვნელოვანია სასწავლო დაწესებულების ეფექტური ფუნქციონირებისათვის. ასეთ გარემოში იზრდება პედაგოგთა მოტივაცია და უმჯობესდება სამუშაო განწყობა, რის შედეგადაც მათი საქმიანობა უფრო ნაყოფიერი ხდება. იგი ხელს უწყობს საერთო მიზნებისა და ამოცანების გაცნობიერებასა და მიღებას, აქტიურ ერთობლივ შემოქმედებით მუშაობას.

## სიტუაცია №1

მასწავლებელი გვიამბობს: „მყავდა მოსწავლე, დათო, რომელსაც კლასში ლიდერის როლი ჰქონდა. ეს არ გამოიხატებოდა მისი აკადემიური მოსწრებით, მაგრამ თავისი ფიზიკური სიძლიერის, სამართლიანობისა და „მჯევრმეტყველების“ გამო მოსწავლეებს შორის ლიდერობდა. ერთხელ გაკვეთილზე სხვა მოსწავლემ, გიგამ, უხეშად და თავხედურად რაღაც მითხრა. მე არ შევიმჩნიე ეს და გაკვეთილი ჩვეულებრივად გავაგრძელე, რომ საგაკვეთილო დრო გიგას უდისციპლინობაზე მსჯელობაში არ დამეხარჯა. დასვენებაზე ჩემთან ერთმა მოსწავლემ მოირბინა და მითხრა, რომ დათო გიგას სცემს საპირფარეშოში იმიტომ, რომ ის უზრდელად მოგექცათო. შეშინებული გავვარდი ბავშვების გასაშველებლად. მე რომ მივედი, დათო იქ აღარ იყო, გიგას სახეზე ეტყობოდა ცემის კვალი. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი. ისე დავიბენი, რომ არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ბავშვებმა იჩხუბეს და მე პირდაპირ თუ ირიბად ამის მიზეზი აღმოვჩნდი. ასე ცუდად თავი მთელი ჩემი პრაქტიკის განმავლობაში არ მიგრძნია...“



### გასწავლებელი:

ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ მასწავლებელი აკვირდება და აფასებს მოსწავლეს არა მარტო გონიერივი შესაძლებლობებითა და აკადემიური მოსწრებით, არამედ სხვა ღირსებებით (სამართლიანობით); ესე იგი, მას შეუძლია მოსწავლის არა მარტო სუსტი, არამედ ძლიერი მხარეების შემჩნევაც, რაც პედაგოგისათვის ძალიან მნიშვნელოვანი, საჭირო უნარია. დათოს სამართლიანობის დაცვის განსაკუთრებული მოთხოვნილება აქვს. შესაძლოა, მისთვის არც კი ჰქონდა მნიშვნელობა იმას, თუ ვის ექცეოდნენ უსამართლოდ. ის გამოესარჩებოდა ყველას.

პედაგოგმა რეაგირება არ მოახდინა მოსწავლის მიერ მის მიმართ უხეში და თავხედური ქცევის ფაქტზე, რათა საგაკვეთილო დრო გიგას უდისციპლინობაზე მსჯელობაში არ დაეხარჯა. ამით მან დაიცვა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც: მასწავლებელმა „იცის გაკვეთილის დროის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები;“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი გვ.7).

მასწავლებელს დადებითად ახასიათებს კიდევ ერთი ფაქტი: როდესაც შესვენებაზე მას აცნობეს მოსწავლეებს შორის წამოჭრილი კონფლიქტის შესახებ, პედაგოგს ჰქონდა მყისიერი რეაქცია. გასაგებია მასწავლებლის წუხილი იმის

გამო, რომ მან ვერ შეძლო ბავშვის უსაფრთხოების დაცვა, მაგრამ ძნელია, მას უსაყვედურო, რადგან მოსწავლეებს შორის კონფლიქტი კლასში არ წამოჭრილა, ხოლო შესვენებაზე მასწავლებელი ვერ გააკონტროლებდა მათ ქცევას. სიტუაციაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რა გააკეთა მან ამ ინცინდენტის შემდეგ მოსწავლისთვის, რომელსაც სახეზე ცემის კვალი ემჩნეოდა, როგორ იზრუნა მის ჯანმრთელობაზე, მისი მდგომარეობიდან გამოყვანაზე, მასში შეირისძიების გრძნობის განეიტრალებაზე, დაუკავშირდა თუ არა ნაცემი მოსწავლის მშობლებს და ა.შ. რა დისციპლინური ღონისძიება გაატარა ჩხუბის წამომწყები „კლასის ლიდერის“ მიმართ, რა ეთიკურ ღირებულებებზე ესაუბრა მას, დაუკავშირდა თუ არა მის მშობლებს.



### ფსიქოლოგი:

ბავშვის მიუღებელი ქცევის რეაგირების გარეშე დატოვება არ არის რეკუმენდებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვი ამგვარ ქცევას ყურადღების მიპყრობის მიზნით იყენებს. ასეთ შემთხვევებში რეაგირებას უკურაეციაც კი შეიძლება ჰქონდეს, რადგან, შესაძლოა, ეს იყოს გამომწვევი ქცევა, რომლის მიზანი ყურადღების მიქცევა და მასწავლებელზე ზეგავლენის მოხდენაა. ასე რომ, მუდმივმა შენიშვნებმა, შეიძლება, განამტკიცოს კიდეც მიუღებელი საქციელი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელმა ამ შემთხვევაში უყურადღებოდ დატოვოს მოსწავლის ქმედება, მაგრამ მან უნდა გააკეთოს ეს ფრთხილად, ტაქტიანად და იპოვოს ასეთ მოსწავლესთან მისასვლელი გზა.

მოცემულ შემთხვევაში პედაგოგს, რა თქმა უნდა, მაშინვე უნდა მიეთითებინა დისციპლინის დარღვევასა და არაეთიკურ ქცევაზე. ამის შემდეგ კი მოქცეულიყო ისე, როგორც მოიქცა, არ განევრცო ეს თემა გაკვეთილზე. გაკვეთილის (ან გაკვეთილების) შემდეგ აუცილებლად ესაუბრა გიგასთან იმის დასადგენად, თუ რას შეეძლო გამოეწვია მისი ამგვარი საქციელი. ეს იქნებოდა მასწავლებლის მხრიდან ადამიანის ღირსების დაცვისა და, საერთოდ, ურთიერთპატივისცემის მაგალითი მოსწავლეებისათვის, უპირველეს ყოვლისა კი, გიგასთვის.

მასწავლებელს უნდა განეხილა მომხდარი დათოსთანაც. აეხსნა ბავშვისთვის, რომ იგი ძალიან აფასებს მის მხარდაჭერას, მაგრამ მიუღებელია ძალადობის ნებისმიერი გამოვლენა და მათ შორის ის საშუალება (ფიზიკური ანგარიშსწორება), რომელიც გამოიყენა მოსწავლემ.



### განათლების სპეციალისტი:

ეს შემთხვევა კარგი მაგალითია იმისათვის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად იმსჯელოს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ძალადობა არა-სოდეს არ არის გამოსავალი სიტუაციიდან. დიალოგი და ურთიერთპატივის-ცემა არის ის საშუალება, რომლითაც ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია. პედაგოგმა აგრეთვე ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, როგორ წარიმართება ურთიერთობა დათოსა და გიგას შორის. თუ საჭიროება შეიქმნება, შესაძლოა, მან მოსწავლეებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებაში აქტიური როლიც შეასრულოს.

## შენიშვნებისთვის

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

## სიტუაცია №2

პედაგოგი მოგვითხრობს: „IX კლასის დამრიგებელი ვარ. ყოველი გაკვეთილის დაწყების წინ შევდივარ ჩემს სადამრიგებლო კლასში, რათა თვალი გადავავლო მოსწავლეებს და დავრწმუნდე, რომ ყველაფერი წესრიგშია. ერთ დღეს შევამზნიე, რომ პირველი გაკვეთილის შემდეგ ერთ-ერთი მოსწავლე (ვაჟი) კლასში აღარ იყო. მოვიკითხე, სკოლის ტერიტორიაზე ვეძებე, მაგრამ არსად ჩანდა. მაშინ გადავწყვიტე, სახლში მომეკითხა, იქნებ შეუძლოდ გახდა და შინ წავიდა-მეთქი. დავურეკე, მაგრამ არც შინ დამხვდა. მშობელი, იმის ნაცვლად, რომ ერთად გვეძებნა ბავშვი, შეტევაზე გადმოვიდა: მე შვილი გამოგიგ ზავნეთ სკოლაში, თქვენ ვერ მოახერხეთ მისი კლასში გაჩერება, ნეტა სხვას რას მიკეთებთ, საერთოდ აღარ გამოვუშვებ სკოლაში და თუ რამე ხიფათს გადაეყარა, ვერ გადამირჩებითო“.. გადავწყვიტე, სიტუაცია არ გამემძაფრებინა, ამიტომ მშობელს არაფერი ვუთხარი, თუმცა გულნატკენი და შეურაცხყოფილი დავრჩი.



### მასწავლებელი:

მასწავლებელი კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. იგი ზრუნავს ბავშვების უსაფრთხოებაზე. სიტუაციის მიხედვით, პედაგოგი, კლასის დამრიგებელი, ზუსტად და ერთგულად იცავს მასწავლებლის პროფესიულ ვალდებულებას. რაც მთავარია, ის ამას აკეთებს არა მარტო მოვალეობის მოხდის მიზნით, არამედ იმიტომ, რომ ბოლომდე აქვს გაცნობიერებული საკუთარი პასუხისმგებლობა. მასწავლებლის სამაგალითო ქმედების ფონზე მის-თვის განსაკუთრებით გულდასაწყვეტია მშობლის არაადეკვატური რეაქცია და პრეტენზიები. იმის ნაცვლად, რომ, საკუთარი შვილის ინტერესებიდან გამომდინარე, ითანამშრომლოს პედაგოგთან, იგი ბრაზობს მასწავლებელზე და ემუქრება კიდეც მას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მიუხედავად იმ შეურაცხყოფისა და გულისტკივილისა, რომელიც მასწავლებელს მშობელმა სრულიად გაუმართლებლად მიაყენა, მოცემულობის მიხედვით, პედაგოგი ინარჩუნებს სიმშვიდესა და თავაზიანობას, იგი არ პასუხობს მშობელს არაეთიკურად.



### **ფსიქოლოგი:**

მასწავლებელსა და მოსწავლის მშობელს შორის ჯანსაღი და ნაყოფიერი თანამშრომლობის მნიშვნელობა ყველასათვის გასაგებია, მაგრამ, თანამშრომლობა რომ შედგეს, აუცილებელია ორივე მხარის ნება. მასწავლებელმა, ამ შემთხვევაში, ყველაფერი სწორად გააკეთა მშობელთან თანამშრომლობისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მშობელმა არ გამოხატა თანამშრომლობის სურვილი და ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, არის მისი არასწორი წარმოდგენა მასწავლებლის და საკუთარ მოვალეობებზე. სასურველი იქნება, თუ პედაგოგი არ შეწყვეტს მშობელთან ურთიერთობის მცდელობას და შეეცდება, დელიკატურად გაესაუბროს მშობელს, დაანახოს, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვისათვის მათი ერთობლივი და შეთანხმებული მოქმედება.



### **განათლების სპეციალისტი:**

მიუხედავად იმ უმაღურობისა და უხეშობისა, რომელიც კეთილსინდისიერ მასწავლებელს თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში შეიძლება შეხვდეს, მან უნდა გამოიჩინოს მოთმინება და განაგრძოს მოვალეობის შესრულება. დღეს თუ არა ხვალ ის თავისი საქმიანობით დაარწმუნებს მშობელს თანამშრომლობის აუცილებლობაში. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვის სხვადასხვა სტრატეგია. გააცნოს მშობლებს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა უფლებები და მოვალეობანი. რა თქმა უნდა, ყველაფერი ამის გაკეთება მასწავლებლისაგან დამატებით დროსა და ენერგიას მოითხოვს, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი შეიძენს მოკავშირე მშობლებს, რომლებთან თანამშრომლობაც მოსწავლეთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას საგრძნობლად აამაღლებს და პედაგოგს სასწავლო და დისციპლინარული მიზნების მიღწევაში დაეხმარება.

## შენიშვნებისთვის

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

## სიტუაცია №3

მშობელი მოგვითხრობს: „ჩემი შვილი VII კლასშია. ისეთი სამსახური მაქვს, სკოლაში ვერ მივდივარ, ამიტომ მისი ნიშნების შესახებ არაფერი ვიცი. ერთხელ სკოლაში საღამოს მივედი. მაგრამ არავინ დამხვდა ხელოვნების მასწავლებლის გარდა, რომელსაც სკოლაში ხატვის წრე აქვს. სწორედ ის დამეხმარა, რომ ჩემი შვილის ნიშნები უურნალში მენახა. ვნახე, მაგრამ ბევრი ვერაფერი გავიგე. რაღაც კომპონენტების მიხედვით აფასებენ. ჩემს შვილს მხოლოდ რამდენიმე საგანში ენერა ქულა. კიდეც გავიფიქრე, ასე იშვიათად რატომ იძახებენ-მეთქი. როგორც იქნა, მშობელთა კრებაზე მისვლა მოვახერხე. დამრიგებელმა შეფასებები გაგვაცნო. სახტად დავრჩი. ჩემს შვილს თითქმის ყველა საგანში დაბალი შეფასება ჰქონდა. დამრიგებელს საყვედური ვუთხარი: კი მაგრამ სად იყავით, აქამდე რატომ არ შემატყობინეთ, ასეთი მდგომარეობა თუ ჰქონდა-მეთქი. დამრიგებელმა ყველას წინაშე უხეშად მიპასუხა: უფრო ხშირად უნდა იაროთ სკოლაშიო. რა ვქნა, სამსახურს თავი დავანებო?..“



### მასცავლებელი:

დღეს ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ შვილის აღზრდასთან ერთად მშობლების უმეტესობა დიდი დატვირთვით მუშაობს და ხშირად, სურვილის მიუხედავად, შვილს სათანადო ყურადღებას ვერ უთმობს. განსახილველი შემთხვევის მთხრობელი ქალბატონიც სწორედ ასეთი დედების რიცხვს მიეკუთვნება. მის მონათხრობში იგძნობა გულისტკივილი იმის გამო, რომ შვილს სათანადო ყურადღებასა და დროს ვერ უთმობს. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მასწავლებელმა მშობელს სისტემატურად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია. თუ მოსწავლის აკადემიური მოსწრება გაუარესდება, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა ითანამშრომლოს მოსწავლის მშობელთან, ჩაატაროს მასთან ინდივიდუალური შეხვედრები, დაადგინოს ბავშვის აკადემიური მოსწრების გაუარესების მიზეზები და მშობელთან ერთად ეძებოს პრობლემის მოგვარების შესაძლო გზები.

გარდა ამისა, მასწავლებელს, კერძოდ კი დამრიგებელს, უნდა ჰქონდეს ყველა მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეძლოს მასთან დაკავშირება. მოცემული სიტუაციის მიხედვით, პედაგოგმა არა თუ დროულად აცნობა მშობელს ბავშვის აკადემიური მოსწრების შესახებ, არამედ დამსახურებული საყვედურის მოსმენაც არ ისურვა. მასწავლებელს უნდა მოეხერხებინა მშობლისათვის ინფორმაციის მიწოდება

შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ, იმის მიუხედავად, რა სიხშირით ივ-ლიდა მშობელი სკოლაში.



### ფსიქოლოგი:

აკადემიური მოსწრებისა და/ან ქცევის გაუარესების შემთხვევაში, საგნის პედაგოგმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მშობელს ან კლასის ხელმძღვანელს, თუ იგი თვითონ ვერ შეძლებს მშობელთან დაკავშირებას. უფრო მეტიც, არ არის საკმარისი მშობლისათვის განმსაზღვრელი შეფასებების (ნიშნების) შესახებ ინფორმაციის მიწოდება. უფრო მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც მშობელს დაანახვებს შვილის ძლიერ და სუსტ მხარეებს და მიაწვდის ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციებს.



### განათლების სპეციალისტი:

ბავშვის პრობლემების თაობაზე მასწავლებელთან მისულ მშობელს პედაგოგი აუცილებლად თავაზიანად და გაგებით უნდა ესაუბროს. მშობელთან თანამშრომლობით გაცილებით უფრო იოლია მოსწავლის პრობლემების მიზეზების დადგენა და შემდგომში ამ პრობლემების მოგვარება.

სკოლამ უნდა შეიმუშავოს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა (მაგალითად, ზოგიერთ სკოლაში არსებობს ელექტრონული უურნალების, ზოგში – მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მიმოწერის პრაქტიკა, თუმცა ტრადიციული წერილობითი მიმოწერა კომუნიკაციის ყველაზე ხელსაყრელი ფორმაა).

რადგან მშობელს გაუჭირდა შეფასების ახალ სისტემაში გარკვევა, სასურველია, სკოლამ მშობლებისათვის ჩაატაროს შეხვედრები შეფასების მრავალკომპონენტიანი მოდელის ასახსნელად. შესაძლებელია განმარტებითი ხასიათის ბუკლეტების დაბეჭდვა და გავრცელებაც.

## შენიშვნებისთვის

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

## სიტუაცია №4

მშობელი მოგვითხრობს: „ჩვენი ოჯახი მძიმე ეკონომიური პირობების გამო ორი წლის წინ რაიონიდან თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. შესაბამისად, ჩემი შვილიც დედაქალაქის ერთ-ერთ სკოლაში მივიყვანე. სანამ რაიონში ვცხოვრობდით, ჩემი გოგონა ძალიან კარგად სწავლობდა. კლასში ყველაზე მაღალი ნიშნები ჰყავდა. მას შემდეგ, რაც თბილისში გადმოვედით, ბავშვმა სწავლას ჯერ უკლოდა მერე საერთოდ აიღო ხელი. სკოლაში წასვლა ეზარებოდა, გაკვეთილებს აღარ ამზადებდა. მიზეზი ვკითხე. ჩემმა შვილმა მითხრა, რომ თავს დაჩაგრულად გრძნობს, კლასელებთან, ფაქტობრივად, კონტაქტი არა აქვს, მასწავლებელი გაკვეთილს იშვიათად ეკითხება და ნიშანსაც არ უნერს. ბავშვი თავის თავში ჩაიკეტა და აღარ მეკონტაქტებოდა. დახმარებისათვის კლასის დამრიგებელს მივმართე, რათა ბავშვი სულ არ წასულიყო ხელიდან. დამრიგებელმა ვერაფერი მირჩია. გადავწყვიტე, შვილი სხვა სკოლაში გადამეყვანა. მადლობა ღმერთს, ასე მოვიქეცი. წინასწარ დაველაპარაკე სკოლის დირექტორს, ავუხსენი ჩემი შვილის პრობლემები და სხვა სკოლაში გადაყვანის მიზეზი. ახლა ბავშვი იქ თავს უკეთესად გრძნობს, მეგობრები გაიჩინა და სწავლასაც მოუმატა.“



### ფსიქოლოგი:

მშობლის მონათხრობიდან ჩანს, რომ ოჯახი ცხოვრობდა რაიონში, სადაც გოგონა საუკეთესო მოსწავლე იყო. სავარაუდოდ, იგი მიჩვეულია კლასში პირველობას. ახალ სკოლაში, სადაც, როგორც ჩანს, უფრო ძლიერი ბავშვები არიან, ვიდრე მის ქველ კლასში. შესაძლებელია, მან ვერ მოიპოვა ისეთივე აღიარება, როგორსაც შეჩვეული იყო. მას, ბუნებრივია, გაუჭირდებოდა შეგუება იმასთან, რომ ის აღარაა საუკეთესო. ბავშვისათვის სწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი ფაქტორი გარშემომყოფების აღიარებაა. როგორც ჩანს, მოსწავლე გოგონას პრობლემებს სწორედ ამის დეფიციტი განსაზღვრავს. ამას ემატება ისიც, რომ დედაქალაქის სკოლაში გადმოსვლის შემდეგ, როგორც გულისტყივილით აღნიშნავს მშობელი, მას მასწავლებელი გაკვეთილს იშვიათად ეკითხება და ნიშანსაც არ უნერს. ახალ კლასში გოგონას არც მეგობრები ჰყავს. ყოველივე ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ ბავშვმა ვერ დაამყარა მისთვის სასურველი ურთიერთობები ვერც თანაკლასელებთან და ვერც პედაგოგებთან.

სკოლის შეცვლა ძალიან ბევრი ბავშვისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. მათ ხშირად უჭირთ ახალ გარემოსთან, ახალ ადამიანებთან შეგუება. შესაძლოა, ამას თავი დამოუკიდებლად ვერ გაართვან და დახმარება დასჭირდეთ. სწორედ ასეთი შემთხვევაა აღნერილი ზემოთ მოცემულ მაგალითში. ამიტომ სასურვე-

ლია, პირველ პერიოდში ახალ მოსწავლეს დაეთმოს უფრო მეტი ყურადღება, მასწავლებელი შეეცადოს, ხელი შეუწყოს მას თანაკლასელებთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარებაში. პედაგოგმა ამისათვის შეიძლება გამოიყენოს როგორც სასკოლო დრო, ასევე სკოლის გარეთ დაგეგმილი ღონისძიებები.



### მასწავლებელი:

მასწავლებლის პროფესიული ვალია აქტიური თანამშრომლობა თითოეული მოსწავლის მშობელთან. მოცემული სიტუაციის თანახმად, თანამშრომლობის ინიციატივა მოდიოდა მოსწავლის მშობლის მხრიდან, რომელიც კარგად აცნობიერებდა კლასის დამრიგებლის როლს. მაგრამ თანამშრომლობა ვერ შედგა, რადგან მოსწავლის მშობელს კლასის დამრიგებელმა ვერაფერი ურჩია. მან ვერ შეძლო ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ახალგადმოსულ მოსწავლესა და მის დანარჩენ თანაკლასელებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, პედაგოგმა „იცის, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლებს შორის პოზიტიური ურთიერთობები...“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, გვ.7), რასაც, სამწუხაროდ, ვერ ახერხებს სიტუაციაში აღწერილი მასწავლებელი.



### განათლების სპეციალისტი:

მასწავლებელს მართებდა, უფრო მეტი ყურადღება გამოეჩინა ახალი მოსწავლის მიმართ. სასურველია, სკოლას ახალი მოსწავლის უცხო გარე-მოსთან ინტეგრაციისათვის ჰქონდეს ერთგვარი რიტუალი, მოსწავლის დახვედრის ცერემონიალი. როდესაც კლასში ახალი მოსწავლე გადმოდის, რეკომენდებულია, რომ მასწავლებელმა მოაწყოს „ბავშვის მიღება“, წარუდგინოს, გააცნოს იგი კლასს, აუხსნას სხვებს, რომ ის ხდება მათი თანაკლასელი და ახალი მეგობარი; პედაგოგს შეუძლია, დაგეგმოს აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალმოსული მოსწავლის კლასში ინტეგრაციას. მსგავს სიტუაციებში პედაგოგებმა (და/ან სკოლის ფსიქოლოგმა, თუ ამის საჭიროება შეიქმნება) უნდა იმუშაონ კლასის მოსწავლეებთან ტოლერანტობის გრძნობის გასაღვივებლად, ასწავლონ ბავშვებს თანატოლების მიღება და პატივისცემა.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №5

მოსწავლეებიამბობს: „ჩემს კლასელ პაპუნას ლაპარაკი უჭირს, ის ძალიან ნელა საუბრობს და თან ენა ებმის. ჩემი აზრით, მასნავლებელი მას არ ექცევაკარგად . იმის ნაცვლად, რომ ყურადღება გამოიჩინოს მის მიმართ, პაპუნას საუბარს აწყვეტინებს და არ აცლის აზრის ბოლომდე გამოთქმას. არადა, პაპუნა ძალიან კარგად მეცადინეობს და ბევრი რამ იცის. სხვა მოსწავლეები, რომლებიც მასზე კარგ ნიშნებს იღებენ, დავალებას მისგან იწერენ ხოლმე. მასნავლებელი პაპუნას ახლა უკვე ძალიან იშვიათად იძახებს და მაშინაც მოუთმენლად ელოდება, როდის გასცემს იგი პასუხს. ერთი პასუხის გაცემა რომ არ აქვს დამთავრებული, მეორე შეკითხვას უსვამს. მე ვიცი, რომ პაპუნა ძალიან განიცდის ამას და მეცოდება. მასნავლებელი უსამართლოდ ექცევა. რა მისი ბრალია, რომ ლაპარაკი უჭირს.“



### მასწავლებელი:

მასწავლებლის ამგვარი ქმედება, მართალია, პედაგოგიურად არ არის გამართლებული, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე მასწავლებლის მდგომარეობაც. მასწავლებელს კლასში ბევრი მოსწავლე ჰყავს, მისი საგაკვეთილო დრო კი წინასწარ განსაზღვრულია. მასწავლებლისათვის რთულია, გარკვეულ დროზე მეტი დაუთმოს რომელიმე მოსწავლეს. მას სამუშაო აქვს დანარჩენ მოსწავლეებთანაც. უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს მთელი კლასი ერთი მოსწავლის გამო, მაგრამ ამ მოსწავლეს მეტყველების პრობლემა აქვს და მას ორჯერ მეტი დრო სჭირდება ცოდნის გადმოსაცემად, ვიდრე მის თანაკლასელებს. პედაგოგი დგას ეთიკური და პროფესიული დილემის წინაშე, რომლის გადაწყვეტა არც თუ ისე ადვილია.



### ფსიქოლოგი:

პაპუნას აქვს პრობლემა — მეტყველების ნელი ტემპი და ენაბორძიკობა. საქართველოს სკოლებში ინერგება ინკლუზიური განათლება. მისი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომ თითოეულ ბავშვს უნდა ჰქონდეს განათლების მიღების შესაძლებლობა მისი უნარებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

მასწავლებელი უნდა ეხმარებოდეს ბავშვს პრობლემების დაძლევაში. ამ შემთხვევაში პედაგოგი არათუ ეხმარება მოსწავლეს სიძნელეების გადაღახვა-ში, არამედ არის იმის საფრთხე, რომ მისი არაადეკვატური დამოკიდებულება ბავშვის ფსიქოლოგიური პრობლემების მიზეზი გახდება. პაპუნა, შესაძლოა, დაითრგუნოს, ამგვარმა დამოკიდებულებამ უარყოფითად იმოქმედოს მის თვითშეფასებასა და სწავლის მოტივაციაზე.

სასურველია, რომ მასწავლებელმა პაპუნა გამოიძახოს იმავე სიხშირით, როგორითაც მისი თანაკლასელები, რათა ბავშვმა თავი სხვებისაგან გან-სხვავებულად, სხვებზე ცუდად არ იგრძნოს. თუ მასწავლებელი მეტყველების პრობლემების გამო უფრო იშვიათად გამოიძახებს ბავშვს, შესაძლოა, პაპუნას დაუქვეითდეს დავალებების მომზადების, გაკვეთილზე აქტივობის მოტივაცია. ყოველივე ეს კი ძალიან ცუდ ზეგავლენას მოახდენს როგორც მის ფიზიკურ უნარებზე, ასევე აკადემიურ მოსწრებაზე.

სკოლის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს იმ მასწავლებლების შეხვე-დრა, რომლებიც პაპუნას ასწავლიან, რათა მათ ერთად იმსჯელონ არსებუ-ლი პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზებზე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც მუშაობაში ჩართული უნდა იყოს სკოლის ფსიქოლოგი ან ლოგოპედი. ასევე მშობლების ინფორმირება და სასწავლო პროცესში ჩართულობა ერთ-ერთი აუ-ცილებელი პირობაა პრობლემის წარმატებით მოსაგვარებლად.



### განათლების საეციალისათი:

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით: „მასწავლებელი იცნობს ინკლუზიური განათლების... პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი გვ. 7) პაპუნას შემთხვევა სწორედ ინკლუზიური განათლების პრინციპების ცოდ-ნას მოითხოვს მასწავლებლისაგან. სამწუხაროდ, მასწავლებელი ვერ ახერხებს იმას, რომ ინდივიდუალურად მიუდგეს მოსწავლეს. ამით იგი უგულებელყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოთხოვნას – ორიენტაციას თითოეულ მოსწავლეზე: „საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე...“ და „გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები“... (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2009, გვ.6)

პედაგოგის ქმედება ეწინააღმდეგება ისეთ მნიშვნელოვან, საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტსაც, როგორცაა „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომლის მიხედვით „საკუთარი თავის რწმენის“ გაძლიერება აღზრდისა და გა-ნათლების პირველი რიგის ამოცანად არის დასახული (იხ. ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხლი 22. 1.).

პედაგოგი თავისი ქცევით ურთიერთპატივისცემისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მაგალითს უნდა აძლევდეს მოსწავლეებს, რათა განსხვავებულის მიმართ მიმღებლობა და შემწყნარებლობა ჩამოუყალიბოს მათ. იმისათვის, რომ მასწავლებლის ქმედება არ ეწინააღმდეგებოდეს არც პაპუნას და არც დანარჩენი მოსწავლეების ინტერესებს, მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს ბავშვს, რომ მისი სურვილის შემთხვევაში, პაპუნამ პასუხი წერილობით გასცეს, რათა არ მოხდეს მისი მეტყველების პრობლემის ხაზგასმა.

## შენიშვნებისთვის

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

## სიტუაცია №6

მოსწავლე მოგვითხრობს: „ჩემთვის მოუღებელია, როდესაც მასწავლებლები თავს გვახვევენ თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს. მე პირადად ძალიან აპოლიტიკურ ვარ, მაგრამ ერთი ჩემი თანაკლასელი მუდამ თვალს ადევნებს პოლიტიკურ მოვლენებს. ერთხელ ბიოლოგის მასწავლებელმა გაკვეთილზე დაიწყო მთავრობის ლანძღვა, ჩემი თანაკლასელი კი შეეკამათა და დაიცვა ხელისუფლება. ამაზე მასწავლებელი ძალიან გაპრაზდა და ჩხუბი დაუწყო: „შენ და შენს ოჯახს ხელს გაძლევთ ეს მთავრობა, თორემ როგორ შეიძლება ამ ხელისუფლების მხარდაჭერა და ა.შ.“ მას შემდეგ მასწავლებელი გადაეკიდა ჩემს თანაკლასელს. ხშირად დაუმსახურებელ შენიშვნებს აძლევდა, უფრო მკაცრად ეკითხებოდა გაკვეთილს და იმაზე ნაკლებ ნიშანს უწერდა, ვიდრე ეკუთვნოდა.“



### მასწავლებელი:

ბევრი ადამიანი სისტემატურად ადევნებს თვალს პოლიტიკურ მოვლენებს და მკვეთრად გამოხატული ემოციური დამოკიდებულება აქვს ხელისუფლების ან რომელიმე ოპოზიციური პოლიტიკური დაჯგუფების მიმართ. მაგრამ, როგორიც უნდა იყოს კონკრეტული ადამიანის აზრი და შეხედულება რაიმე მოვლენაზე, მას უნდა შეეძლოს განსხვავებული აზრის მოსმენა და მიღებაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც საქმე ეხება მასწავლებელს. მას ხომ, საგნის სწავლების გარდა, ევალება, მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოხატვა და საკუთარი შეხედულებების არგუმენტირებული დაცვა ასწავლოს. აღნერილ სიტუაციაში კი, მასწავლებელი არათუ ხელს უწყობს, არამედ კატეგორიულად ეწინააღმდეგება მოსწავლის მიერ საკუთარი, პედაგოგისაგან განსხვავებული აზრის გამოხატვის მცდელობას. სწორედ ეს იქცა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კონფლიქტის მიზეზად.



### ფსიქოლოგი:

სასკოლო ასაკის ბავშვის პოლიტიკური მრწამსი უმეტესწილად ემთხვევა მის ოჯახში არსებულ პოლიტიკურ შეხედულებებს. როდესაც მის შეხედულე-

ბებს ასეთი მკვეთრად განსხვავებული აზრი უპირისპირდება მასწავლებლის მხრიდან, ბავშვი უნდა გაუმკლავდეს შეხედულებათა კონფლიქტს: ვინ არის სწორი? გარდა ამისა, პოლიტიკაზე დებატები გაკვეთილის მსვლელობისას არ არის გამართლებული, რადგან მოსწავლემ გაკვეთილზე მთელი ყურადღების კონცენტრაცია ცოდნის ათვისებაზე უნდა მოახდინოს და არა მსგავს დისკუ-სიაზე. ამასთანავე, როდესაც მასწავლებელი შეურაცხყოფს მოსწავლესა და მის ოჯახს, ეს მოზარდისათვის განსაკუთრებით მტკიცნეულია.



### განათლების სპეციალისტი:

მასწავლებელმა ვერ შეძლო შეენარჩუნებინა სიმშვიდე კონფლიქტურ სიტ-უაციაში, მით უმეტეს, ინტელექტუალური კონფლიქტის დროს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მასწავლებელს მოეთხოვება, რომ მან იცოდეს და იყენებდეს გაკვეთილის დროის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს. („მასწავლებელმა იცის გაკვეთილის დროის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები“ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი გვ.7). სიტ-უაციის აღწერიდან აშკარაა, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარე-ბის განხილვას მასწავლებელი გაკვეთილისათვის განკუთვნილ დროს უთმობს და არ იყენებს მას მაქსიმალურად ეფექტურად სასწავლო მიზნებისა და ამო-ცანების მისაღწევად.

როგორც მოსწავლე ამბობს, ამ ინცინდენტის შემდეგ პედაგოგი „გადაე-კიდა“ მის თანაკლასელს. თუ მასწავლებელი რეალურად დაუმსახურებლად დაბალ ნიშანს უწერს მოსწავლეს, იგი უგულებელყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას, რომ მოსწავლე არასათანადო საქციელისათვის საგნის ნიშ-ნით არ უნდა დაისაჯოს (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2007, გვ.11). იგი იღებს უსამართლო გადაწყვეტილებას და ნიშნით სჯის ბავშვებს არათუ „არასათანადო საქციელისათვის“, მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებული აზრისათვის.

მასწავლებელმა მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი გაკვეთილზე მოსწავ-ლებთან თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამოთქმისაგან. თუ მოსწავ-ლები შეეცდებიან მის ამგვარ დისკუსიაში ჩართვას, შესთავაზოს მათ დის-კუსის გადატანა არასაგაკვეთილო დროს, დაიცვას ეთიკური ნორმები საკითხ-ის განხილვისას და განხილვის პროცესში მოსწავლებს განსხვავებული აზრის შემწყნარებლობის მაგალითი მისცეს.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №7

მოსწავლე გვიამბობს: „ბოლო დროს თმის ცვენა დამეჩუო. ბევრ ექიმთან ვიყავი, მეურნალობაც ჩავიტარე, მაგრამ უშედეგოდ. თმა თავზე თითქმის აღარ მაქვს. კანი მიჩანს. ძალიან განვიცდი ამას. მთელი ზაფხული ქუდით დავდიოდი. ძალიან ვნერვიულობდი იმაზე, რომ კლასში ბავშვები დამცინებდნენ. სკოლაშიც ქუდით მივედი და ასე დავდიოდი. ერთ-ერთი მასწავლებელი მთელი კვირის განმავლობაში შენიშვნას მაძლევდა და დაუინებით მთხოვდა ქუდის მოხდას. მე არ ვემორჩილებოდი. ერთხელაც, გაკვეთილზე შესვლისთანავე, კატეგორიულად გამომიცხადა: ან ქუდს მოიხდი, ან გაბრძანდი გაკვეთილიდან. მე გაკვეთილიდან გამოსვლა ვარჩიე.“



### მასწავლებელი:

კლასში მოსწავლის ქუდით ჯდომა ქცევის მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგება. ეს კლასისა და მასწავლებლისადმი ერთგვარი უპატივცემულო და-მოკიდებულების გამოხატულებად მიიჩნევა. ამიტომ მასწავლებლის რეაქცია ბუნებრივია. მოსწავლის დაუმორჩილებლობამ ის კიდევ უფრო გააღიზიანა და, სავარაუდოდ, ამით არის გამოწვეული მისი კატეგორიული ტონი.


ფაქტია: კლასში სიტუაცია გართულდა. მიუხედავად ზემოთქმულისა, ცხადია, რომ ბრალი ამაში დიდწილად მასწავლებელს მიუძღვის და აი რატომ: პედაგოგი არ დაინტერესებულა, რატომ არ იხდიდა, მისი დაუინებული თხოვნის მიუხედავად, მოსწავლე ქუდს. შესაბამისად, იგი ვერ მოიპოვებდა მოსწავლის თვალში ნდობას, რომ ბავშვს მისთვის გაეზიარებინა პრობლემა, რომელსაც თავად ესოდენ ტრაგიკულად აღიქვამდა. მოსწავლის ნდობის მოპოვების ერთ-ერთი საუკეთესო გზა მოსწავლეთა აზრებისადმი გულისყრითა და სერიოზულობით მოკიდება და მათი პირადი პრობლემებით დაინტერესებაა. პედაგოგი უნდა იყოს მრჩეველი არა მარტო სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სიძნელეების გადალახვაში, არამედ, მოსწავლის სურვილის შემთხვევაში, დაუსმაროს მას პირადი პრობლემების მოგვარებაშიც.



## განათლების სპეციალისტი:

პედაგოგმა თავისი შეუვალი პრინციპულობით შექმნა კონფლიქტური სიტუაცია. აღსანიშნავია, რომ მოსწავლის კლასიდან გაშვებით მასწავლებელმა დაუშვა კიდევ ერთი შეცდომა: მოზარდი დატოვა უმეთვალყურეოდ. ამით მან უღალატა პროფესიულ პასუხისმგებლობას. სასწავლო პროცესის დროს პედაგოგმა უნდა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის უსაფრთხოება (სხვათაშორის, არა მარტო ფიზიკური, არამედ ინტელექტუალური და ემოციურიც). თუ გაკვეთილის მიმდინარეობისას ბავშვს რაიმე შეემთხვევა, პასუხი, უპირველეს ყოვლისა, მას მოეთხოვება.

ემოციური უსაფრთხოება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიზიკური. მასწავლებელს უნდა შეექმნა კლასში ისეთი სიტუაცია, რომ ბავშვს თავისი განსხვავებულობის გამო უხერხულად არ ეგრძნო თავი და გაექარნებინა მისთვის თანაკლასელების დაცინვის შიში.



## ფსიქოლოგი:

პედაგოგს, ბუნებრივია, არ უნდა გაეშვა ბავშვი კლასიდან. გაკვეთილის მსვლელობისას აღარ უნდა გაემახვილებინა ყურადღება მოსწავლის გაჯიუტე-

ბაზე, გაკვეთილების დასრულების შემდეგ კი გასაუბრებოდა ბავშვს. ალბათ, არ მოიძებნება მასწავლებელი, რომელიც გაიგებდა ქუდის ტარების ნამდვილ მიზეზს და არ მისცემდა მოსწავლეს სკოლაში თავსაბურავით სიარულის უფლებას.

სანამ მოსწავლეს შენიშვნებით აავსებდა, მას უნდა ეცადა ჯერ ბავშვთან პირისპირ საუბარი. თუ მოსწავლე არ გაუმჟღავნებდა მას საკუთარ პრობლემას, მიემართა მშობლისთვის, რომლისგანაც ის გაიგებდა ბავშვის ქცევის ნამდვილ მოტივს. შეიტყობდა რა მოსწავლის ქცევის ნამდვილ მიზეზს, მასწავლებელს ყველაფერი უნდა ეღონა, რომ ბავშვს უფრო მსუბუქად აღექვა თავისი პრობლემა. ის უნდა გასაუბრებოდა კლასს, მაგრამ არა კონკრეტულად ამ ბიჭის პრობლემაზე (სასურველია, არა მისი თანდასწრებით). მათ ერთად უნდა ემსჯელათ შემწყნარებლობის, თანაგრძნობის მნიშვნელობაზე.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №8

მოსწავლე გვიაბბობს: „მყავს ერთი მასწავლებელი, რომელიც, იმის გამო, რომ ვერ ახერხებს ბავშვების გაჩერებას, მასალის ახსნას ვერ ასწრებს და გაკვეთილს აუხსნელად გვაძლევს. შედეგად მისი საგანი კლასში არავინ არ იცის. თუმცა ამას ყველაზე ვერ ვიტყვი, რადგან მას ჰყავს ამორჩეული ორი-სამი ბავშვი შეძლებული ოჯახებიდან და მათ ცალკე ამეცადინებს. მერე სხვა-დასხვა კონკურსზე (კონფერენციები, ოლიმპიადები...) გაჰყავს და, როგორც ვიცი, რამდენჯერმე გაიმარჯვეს კიდეც. ყოველთვის გული მწყდებოდა, ძალ-იან მინდოდა, მეც მიმეღო მონაწილეობა ამ კონკურსებში, ვთხოვე კიდეც მას-ნავლებელს, ჩემთვისაც მოეცა ამის საშუალება, მაგრამ არც მომისმინა.”



### მასწავლებელი:

მოსწავლეთა უდისციპლინობა წარმატებული სასწავლო პროცესის უმთავრესი ხელისშემსლელი ფაქტორია. დისციპლინის შენარჩუნება კი მხოლოდ მოსწავლეთა ინტერესის გამოწვევითა და საინტერესო გაკვეთილების ჩატარებითა შესაძლებელი. მოცემულობის მიხედვით მასწავლებელი ვერ ახერხებს მოსწავლეთა ყურადღების მიპყრობას და გაკვეთილზე წესრიგის დამყარებას, ბავშვებს გაკვეთილს აუხსნელად აძლევს. მასწავლებლის დაბალ პროფესიულ კომპეტენციას ემატება ის არაკეთილსინდისიერი ქმედებაც, რომ რომ მას რამდენიმე მოსწავლე ჰყავს ამორჩეული, რომლებიც სხვადასხვა შეჯიბრებაში იმარჯვებენ, დანარჩენი მოსწავლეები კი თითქმის უცოდინრები არიან.



### განათლების საეციალისტი:

როგორც მონათხრობიდან ჩანს, მასწავლებელს არ შეუძლია კლასის მართვა და შედეგებიც სავალალოა. („თითქმის მთელი კლასი უცოდინრები ვართ“). იგი ვერ აკმაყოფილებს პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს, რომელთა მიხედვითაც მასწავლებელი: „აცნობიერებს კლასის მართვის სტილის გავლენას მოსწავლის განწყობაზე, ქცევასა და სწავლის შედეგებზე“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, გვ.7 ) იცის „გაკვეთილის დროის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები“ (იქვე გვ.7 ) და იცის „სწავლის მოტივაციის ამაღლების

სტრატეგიები და აანალიზებს მათ შესაძლო შედეგს კონკრეტულ სიტუაციაში“ (იქვე გვ. 8).

მასწავლებელს სერიოზული პრობლემები აქვს პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობის გამო. ამის გამოსწორება შეიძლება თეორიული ცოდნის გაღრმავებისა და პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების გზით. იმავეს ვერ ვიტყვით მის ქცევაზე, რომელიც არ შეესაბამება ეთიკურ ნორმებს. როგორც მოსწავლის მონათხრობიდან ჩანს, ამ მასწავლებლის მიერ კერძოდ მომზადებული მოსწავლეები სხვადასხვა კონკურსში იმარჯვებენ. ე. ი. მასწავლებელს, როგორც საგნის სპეციალისტს, შესწევს უნარი, მაღალ შედეგს მიაღწიოს, როცა ამის სურვილი აქვს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი პრობლემები უფრო ეთიკურია, ვიდრე პროფესიული.

მოსწავლე გულისტკვილით აღნიშნავს, რომ პედაგოგი მიკერძოებულია. იგი განსაკუთრებულად ექცევა ეკონომიკურად შეძლებული მშობლების შვილებს. ამით ის სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოზარდების სულიერ სამყაროს და არაკეთილსინდისიერების მაგალითს აძლევს მათ.

საკუთარი მოსწავლეების კერძოდ მომზადება ეწინააღმდეგება პედაგოგიური ეთიკის პრინციპებს. მასწავლებლის პროფესიული ვალდებულებაა, ყველა მოსწავლეს თანაბარი ყურადღება დაუთმოს და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება მისცეს. მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა მიუკერძოებლობის საფრთხის წინაშე დგება, რაც წარმატებული სასწავლო პროცესს საშიშროებას უქმნის. საკუთარი მოსწავლის კერძოდ მომზადებით ილახება აგრეთვე დანარჩენი მოსწავლეების ინტერესები და უფლებები.



### ფსიქოლოგი:

მასწავლებელმა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა და კეთილსინდისიერების მაგალითი უნდა მისცეს თავის მოსწავლეებს. მას უნდა ჰქონდეს ერთნაირი დამოკიდებულება ყველა ბავშვისადმი. სავსებით შესაძლებელია, რომ მოსწავლეების დაუმორჩილებლობა ერთგვარი პროტესტი და უპატივცემულობის გამოხატულებაა პედაგოგის მიმართ ზოგიერთი ბავშვისადმი მისი დამოკიდებულების გამო.

მასწავლებელი უნდა გაეცნოს და დაეუფლოს კლასის მართვის სტრატეგიებსა და საგნის სწავლების უფექტურ მეთოდებს. თუ იგი მაინც ვერ შეძლებს ბავშვების გაკვეთილზე გაჩერებას, დახმარებისათვის მიმართოს კლასის დამრიგებელს, სკოლის ადმინისტრაციასა და სკოლის ფსიქოლოგს.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №9

მოსწავლე გვიამბობს: „ერთხელ მასწავლებელმა გაკვეთილის ახსნა დაიწყო. ეს ისეთი საკითხი იყო, რომელზეც ცოტა ინფორმაცია წინასწარ მქონდა, საუბარმა ძალიან დამაინტერესა. რამდენიმე შეკითხვა დავუსვი. თავიდან მიპასუხა, მაგრამ მერე შევამჩნიე, რომ ამ საკითხზე ამომწურავი ინფორმაცია არც თავად ჰქონდა და შემდეგი კითხვა რომ დავუსვი, ძალიან უხეშად მიპასუხა. მე ვერ მოვითმინე და კლასიდან გავედი.. მასწავლებელმა ჩემი მშობელი დაიბარა, დირექციაშიც განაცხადა, რომ მე გაკვეთილი თვითნებურად მივატოვე. ჩემი სიმართლე ვერ დავამტკიცე და ძალიან გულნატკენი დავრჩი.



### მასწავლებელი:

მასწავლებლისათვის მძიმეა ისეთ სიტუაციაში ყოფნა, როდესაც მას მოსწავლის მიერ დასმულ შეკითხვაზე სათანადო პასუხი არ აქვს. მოსწავლებს ეჭვი შეაქვთ მასწავლებლის კომპეტენციაში, მაგრამ აღწერილ სიტუაციაში მასწავლებლის ქმედებას მაინც არ აქვს გამართლება. იმის გამო, რომ მას მოსწავლის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხი არ ჰქონდა, საკუთარი პროფესიული „პრესტიუსის გადარჩენის“ არამართებული გზა აირჩია. გალიზიანებულმა მოსწავლეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

პედაგოგი ვალდებულია კლასში შექმნას ისეთი გარემო, რომ ბავშვები არ შეიზღუდონ გაკვეთილზე საკუთარი აზრების გამოხატვისას. მათ უნდა შეეძლოთ, დასვან ყველა კითხვა, რომლებზეც პასუხი აინტერესებთ.

მასწავლებელი, რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი ემოციების მოთოვას და იოლად შეუძლია ადამიანებისათვის შეურაცხყოფის მიყენება, ვერ იქნება მისაბაძი მაგალითი მოსწავლეებისათვის.

პედაგოგმა მშობელს აცნობა, რომ ბავშვმა გაკვეთილი დატოვა და, ერთი შეხედვით, სწორადაც მოიქცა, მაგრამ მასწავლებელმა მშობელი სასაყვაედუროდ დაიბარა და დირექციაშიც განაცხადა, რომ მოსწავლემ გაკვეთილი თვითნებურად მიატოვა. გაკვეთილის მიტოვება თავისთავად არასწორი საქციელია, მაგრამ პედაგოგმა არც მშობელს და არც დირექციას ნამდვილი მიზეზი არ გააცნო. მან შეურაცხყო მოსწავლე მხოლოდ იმის გამო, რომ მის კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა, მოსწავლემაც ამის პასუხად დატოვა გაკვეთილი.



## ჰედაგოგი:

პედაგოგმა, პირველ რიგში, თვითონ უნდა გაიაზროს, რომ არ არსებობს ყოვლისმცოდნე ადამიანი. შემდეგ კი აუხსნას თავის მოსწავლეებსაც, რომ შეუძლებელია იცოდე ამქვეყნად ყველაფერი, უფრო მეტიც: სრულიად დასაშვებია, ერთ კონკრეტულ საკითხზეც კი არ გქონდეს ამომწურავი ინფორმაცია. თუ მასწავლებელი თვითონ მიიჩნევს, რომ ყველაფრის ცოდნა შესაძლებელია, იგი ბავშვებსაც შეუქმნის ამის ილუზიას. შესაძლოა, რეალურ სიტუაციაში მოსწავლეებს გაუჩნდეთ საკუთარი უსუსურობის განცდა და ჩამოუყალიბდეთ დაბალი თვითშეფასება.

მასწავლებელს ვურჩევთ, რომ სხვა დროს არ მიიღოს პირად შეურაცხყოფად მოსწავლის შეკითხვა. დაპირდეს მას, რომ მომავალი გაკვეთილისთვის დააზუსტებს პასუხს და შეძლებისდაგვარად ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის. ეს სულაც არ დაკანინებს მის პროფესიულ კომპეტენტურობას. პირიქით, ამით მასწავლებელი მოიპოვებს მოსწავლეთა ნდობას.



## განათლების სპეციალისტი:

მაღალკვალიფიციურმა პედაგოგმა უნდა ასწავლოს მოსწავლეებს, როგორ მოიპოვონ მათ სასურველი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა ნიშნავს არა მარტო ინფორმაციის შექმნას, არამედ აგრეთვე უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულების განვითარებას. სასწავლო პროცესში ძირითადი აქცენტი მიმართულია სააზროვნო და თვითმართვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოში: „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“ (ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2007) მოსწავლე უნდა ახერხებდეს მისთვის სასურველი ინფორმაციის მოპოვებას დამოუკიდებლად. თვითმართვის ამ უნარის ჩამოყალიბებაში მას მასწავლებლის დახმარება სჭირდება. პედაგოგი ამ შემთხვევაში ხდება მრჩეველი. იგი მოსწავლეს მიუთითებს იმ შესაძლო წყაროებზე (წიგნები, კვლევები, ანგარიშები, ელექტრონული ინფორმაცია), რომლებიც შეიძლება საკითხის გარშემო არსებობდეს. სასურველია, პედაგოგმა შესთავაზოს მოსწავლეს, რომ მათ ერთად მოიძიონ ინფორმაცია. შესაძლოა, მასწავლებლის დახმარებით ბავშვმა მოხსენებაც გააკეთოს მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ კლასის წინაშე.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №10

მშობელი გვიამპობს: „ჩემი ბავშვი მოუსვენარია, მაგრამ, ამავე დროს, მასწავლებლები ამბობენ, რომ ძალიან ნიჭიერია. ნიკას ყველაფერი აინტერესებს. ის ხშირად წინასწარ კითხულობს სასკოლო წიგნებს და ადვილად ითვისებს წაკითხულს. მაგრამ ეს პრობლემად გადაიქცა, რადგან მასწავლებელი მეუბნება: „თქვენი შვილი სასწავლო პროცესს არღვევს იმით, რომ ახალ მასალას ჩემზე წინ ჰყვება და კონცენტრაციას კარგავს“. ამისათვის ნიკა მასწავლებელმა რამდენჯერმე დასაჯა საგანში ცუდი ქულით. სკოლაში რომ მივედი და პედაგოგს ვთხოვე, მიეცით უფრო რთული დავალება, რომლის შესრულებაც მისთვის ძალიან ადვილი არ იქნება-მეთქი, მან მიპასუხა: „პროგრამით მივდივარ...“



### მასწავლებელი:

აშკარაა პრობლემური სიტუაციის არსებობა, რომელიც თუ არ დარეგულირდა, გაამწვავებს მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის ურთიერთობებს, ხელს შეუშლის გაკვეთილის ეფექტურ მიმდინარეობას და, რაც მთავარია, ნიკას სასწავლო მოტივაციას საგრძნობლად გააუარესებს. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად რთულია პედაგოგისათვის, როდესაც ბავშვი გაკვეთილის მსვლელობისას ხშირად ხმამაღლა წამოიძახებს ჯერ კიდევ ბოლომდე დაუსმელ კითხვებზე სწორ პასუხებს. ამით მოსწავლე მარტო თავად კი არ კარგავს კონცენტრაციას, სხვა მოსწავლეების ყურადღებასაც იქცევს, რაც, ცხადია, აფერხებს მათ ჩართვას სასწავლო პროცესში.



### ფსიქოლოგი:

მოსწავლის საქციელის მოტივი შესაძლოა იყოს შემდეგი: ბავშვებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია გარშემო მყოფების შეფასება. მათ უჩნდებათ ბუნებრივი სურვილი, წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები და ცოდნა და ამით დაიმსახურონ უფროსებისა და თანაკლასელების აღიარება. სავარაუ-

დოდ, ამ შემთხვევაში სწორედ ეს მოტივი განსაზღვრავს ნიკას ქცევას. მას-ნავლებელს უჭირს ბავშვის ქცევის მართვა, რადგან, როგორც ჩანს, არ იცის ხერხები და საშუალებები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლის გაკვეთილით დაინტერესებასა და მისი ქცევის რეგულაციაში. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს: მასწავლებელმა „იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა... მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების... გათვალისწინებით;“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, გვ.8)



### **განათლების სპეციალისტი:**

ყველა მოსწავლეს და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებსაც აქვთ უფლება, მიიღონ განათლება თავი-ანთი უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებში იგულისხმებიან ისეთი ბავშვებიც, რომელთა უნარების განვითარება უსწრებს შესაბამის ასაკობრივ ნორმებს. მასწავლებელი ვალდებულია, მიუდგეს მოსწავლეს ინდივიდუალურად და მისცეს მისი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისი დავალებები. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვს გაუჭირდება ყურადღების კონცენტრაცია მისთვის ნაცნობ, ადგილ და, ამდენად, უინტერესო მასალაზე. ეს გამოიწვევს მისი ქცევის გაუარესებას და სწავლის უნარ-ჩვევების დაქვეითებას.

მასწავლებელი არ ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას: „მოსწავლე არასათანადო საქციელისათვის საგნის ნიშნით არ უნდა დაისაჯოს.“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2007, გვ.11) და დაბალი ნიშნით არაერთგზის სჯის მას, რაც ბავშვის მიერ, სავარაუდოდ, აღიქმება როგორც მის მიმართ უსამართლო დამოკიდებულება.

მშობელი მასწავლებელს უზიარებს საკუთარ გულისტკივილს და სთავაზობს კიდეც პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას, მისცეს მის შვილს უფრო რთული დავალება. მასწავლებელი გულებრივია მისი თხოვნის მიმართ და არ ცდილობს მონახოს ბავშვის საგაკვეთილო პროცესში ჩართვის გზები. სავსებით კანონზომიერი იქნება, რომ ნიკას მშობელი ნაწყენი და იმედგაცრუებული დარჩეს. მას აქვს საფუძველი იფიქროს, რომ პედაგოგი მის შვილს არა-საკმარის დროსა და ყურადღებას უთმობს, რის შედეგადაც ნიკას სკოლაში საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენისა და რეალიზების საშუალება

არ ეძლევა.

მასწავლებელს ვურჩევთ:

დაგეგმოს სასწავლო პროცესი წინასწარ იმგვარად, რომ გაითვალისწინოს და დაკმაყოფილოს ყველა შესაძლებლობის მოსწავლის ინტერესები და სასწავლო მოთხოვნილებები;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლესთან იმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით: მისცეს დიფერენცირებული დავალებები, რითაც ჩართავს მას საგაკვეთილო პროცესში;

ითანამშრომლოს მშობელთან ბავშვის ინტერესებისა და თავისებურებების შესახებ ინფორმაციის მიღების, პრობლემის გადაჭრის გზების ერთობლივად გამონახვისათვის; მშობელთან საუბრისას წარმოაჩინოს ბავშვის ძლიერი მხარეები და აუხსნას მისი ქცევის უარყოფითი შედეგებიც.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №11

პედაგოგი გვიამბობს: „ერთხელ, შესვენებაზე, მეცხრეკლასელ ვაჟს შევამჩნიე, რომ თანაკლასელები გარს შემოხვეოდნენ. იგი მათ მობილური ტელეფონით რაღაცას უჩვენებდა. ბავშვების სახეებში უცნაური ინტერესი დავინახე, რამაც დამატვა. როცა ზარი დაირწეკა და მოსწავლეები გაკვეთილზე შევიდნენ, ბიჭს მობილური ტელეფონი ვთხოვე, ვითომდა ზარის გასაშვებად. მან ტელეფონი დამიტოვა და თავად კლასში შევიდა. მობილური დავათვალიერე და ჩემ თვალნინ გამაოგნებელი უხამსობა გადაიშალა. მოსწავლეს დავუბრუნე ტელეფონი ისე, რომ არაფერი მითქვამს მისთვის. საღამოს დავურეკე მშობელს და მხოლოდ ის ვუთხარი, იქნებ ყურადღება მიექცია იმისათვის, თუ რა ჩანაწერებს ინახავდა მისი შვილი მობილურში. ჩემდა გასაოცრად, მადლობის ნაცვლად, მეორე დღეს მშობელი მომივარდა და სკანდალი მომიწყო: რა უფლებით შეამოწმეთ ჩემი შვილის ტელეფონიო. მე შევეცადე, მშვიდად ამებსნა მისთვის, რა ზიანი მოაქვს ამ ასაკის ბავშვებისთვის ასეთი უხამსობის ყურებას. მან ჩემი მოსმენა არ ისურვა.“



### გასწავლებელი:

როგორც სიტუაციიდან ჩანს, მასწავლებლის ქცევის მოტივია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას, რაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითაც არის გათვალისწინებული. მასწავლებელმა „იცის, როგორ... შეუწყოს ხელი მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი გვ.7). ცხადია, რომ მასწავლებელი ყურადღებიანი და დაკვირვებულია. იგი სწორად მოიქცა – დასვენებაზეც კი არ გამოეპარა მოსწავლეების საქციელი, თავი შეიკავა მყისეული რეაქციისაგან და სცადა მშობელთან თანამშრომლობა.



### ფსიქოლოგი:

თუ სიტუაციას ჩავუდრმავდებით, თვალსაჩინო ხდება მასწავლებლის მიერ დაშვებული, შეიძლება უნებლიერ, შეცდომები.

ის, რომ მეცხრეკლასელი ვაჟი შესვენებაზე თავის თანაკლასელებს მობილური ტელეფონით უხამსობას აყურებინებს, საძრახისი, მაგრამ გარდა-ტეხის ასაკისათვის პროგნოზირებადი საქციელია. ბავშვებს ამ ასაკში უჩნდებათ ბუნებრივი ინტერესი ინტიმური თემატიკისადმი და ცდილობენ სათანადო ინფორმაციის, ვიზუალური მასალის მოპოვებას, რომელსაც, როგორც წესი, თანატოლებსაც უზიარებენ.

მოსწავლის/მოსწავლების ზნეობაზე ზრუნვის მოტივით მასწავლებელი სარგებლობს ნდობით, მობილურიდან ზარის გაშვების საბაბით, დაუკითხავად ნახულობს ტელეფონში შენახულ ინფორმაციას და ნანახის შესახებ აცნობებს მოსწავლის მშობელს. მასწავლებელი თითქოს სწორად მოიქცა, მაგრამ კეთილ-შობილური მიზნის მიღწევის საშუალებად მან სიცრუე აირჩია და ამ გზით მოიპოვა სასურველი ინფორმაცია. ეს ზოგადეთიკური პრობლემაა და მასწავლებლის საქციელი ამ მხრივ უნდა შეფასდეს.

იბადება კითხვა: რატომ ვერ შედგა კონკრეტულ სიტუაციაში თანამშრომლობა მშობელსა და მასწავლებელს შორის? მიზეზი უნდა ვეძებოთ პედაგოგის მიერ მშობელთან ურთიერთობის არასწორად არჩეულ სტრატეგიაში. რაკი საქმე ეხებოდა საკმაოდ დელიკატურ საკითხს, უკეთესი იქნებოდა, მასწავლებელს არა ტელეფონით, არამედ პირადად ესაუბრა მშობელთან. პედაგოგმა კი ტელეფონით მიუთითა მშობელს, რომ „მიეხედა“ თავისი შვილისათვის. არც ერთ მშობელს არ სიამოვნებს შვილის შესახებ საყვედურების მოსმენა, მით უმეტეს, თუ საყვედურთან ერთად მშობელს საკუთარ უყურადღებობაზეც მიანიშნებენ.



### განათლების სპეციალისტი:

სავარაუდოდ, მშობლის გაღიზიანების კიდევ ერთი მიზეზი მასწავლებლის მიერ აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების გზაა. მას მიაჩნია, რომ შვილის მიერ ჩადენილი საქციელი ნაკლებად დასაძრახია (ამას ასაკობრივი თავისებურებით ეძებნება გამართლება), ვიდრე მასწავლებლისა, რომელმაც მოსწავლის ნდობით ისარგებლა და უკანონოდ მოიპოვა ინფორმაცია. პედაგოგის არაეთიკური საქციელი შეიძლება უარყოფითად აისახოს მოსწავლის ზნეობრივ ღირებულებებზეც. ბავშვი ჩათვლის, რომ სიცრუე შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასურველი ინფორმაციის მოპოვების, საერთოდ, მიზნის მიღწევის, დასაშვებ გზად. გარდა ამისა, მოსწავლე ჩათვლის, რომ ადვილად არ უნდა ენდოს ადამიანებს, რადგან შეიძლება მის მიერ სხვისთვის გაწეული სამსახური, ამ შემთხვევაში ტელეფონის თხოვება, მისსავე სანინააღმდეგოდ გამოიყენონ. ამასთანავე, ერთი პედაგოგის ნათქვამი სიცრუე ავტომატურად განზოგადდება, რაც მის თვალში დააკნინებს,

ზოგადად, მასწავლებლის ავტორიტეტს. მაგრამ რა უნდა ექნა მასწავლებელს? უყურადღებოდ დაეტოვებინა ეს ფაქტი?

თავისთავად ცხადია, არა, მაგრამ მას უნდა შეერჩია უკეთესი მომენტი, როდესაც მოსწავლის ნდობის განბილებისა და სიცრუის გარეშე შეძლებდა მიზნის მიღწევას. უშუალოდ უნდა დალაპარაკებოდა ბავშვს. ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ მასწავლებელი თვითონ გაუმკლავდებოდა სიტუაციას და არ იქნებოდა საჭირო მშობლის ჩარევა.

სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ურთიერთობა ააგოს გულახდილობასა და გულწრფელობაზე; მიუთითოს მოსწავლეებს, რომ სკოლაში უხამსობის ამსახველი ნივთების მოტანა ან ჩვენება ყოვლად დაუშვებელია; მშობელთან ურთიერთობისას უარი თქვას დირექტიულ ტონზე და შესთავაზოს მას თანამშრომლობა პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში; მშობელთან ურთიერთობისას ტელეფონით დაკავშირებას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, არჩიოს უშუალო, პირისპირ შეხვედრა. თუ სკოლის შინაგანაწესში არ არის შესაბამისი მუხლი, რეკომენდაციით მიმართოს სკოლის დირექტორს, გათვალისწინებული იქნეს მოსწავლის მიმართ სახდელი, რომელიც მსგავსი უხამსობის ამსახველ ნივთებს მოიტანს სკოლაში.



შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №12

მშობელი მოგვითხრობს: „ზოოლოგიის გაკვეთილზე მასნავლებელმა ცხოველის აგებულება აუხსნა მოსწავლეებს. ნინოზე ამ გაკვეთილმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ბავშვმა როცა გაიგო, რომ ცხოველებს აქვთ გული, კუჭი, ფილტვები, ანუ ის ორგანოები, რომლებიც ადამიანებსაც გააჩნიათ, შენყვიტა ხორცის ჭამა. მშობელი ძალიან შენუხდა ამ ამბის გამო, რადგან თვლიდა, რომ გარდატეხის ასაკში ხორცის მიუღებლობა ბავშვის ორგანიზმისთვის განსაკუთრებით სახიფათოა. შემფოთებული მშობელი მასნავლებელთან მივიდა, სიტუაცია აუხსნა და დახმარება სთხოვა. მასნავლებელმა უპასუხა: მე ვხსნი გაკვეთილს ისე, როგოც მევალება, თქვენი შვილი რას შექამს, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის, ეს თქვენ თვითონ მოაგვარეთ...“ – სწორედ გულგრილობის გამოხატულებაა. დარღვეულია პროფესიული ეთიკის საყრდენი პრინციპები: ადამიანების პატივისცემა და პერსონალური და პროფესიული პასუხისმგებლობა, უგულებელყოფილია მასნავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნაც: მასნავლებელი „აცნობიერებს მოსწავლეების განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და მათ გავლენას სწავლებასა და სწავლაზე.“ (მასნავლებლის პროფესიული სტანდარტი, გვ.6);

მასნავლებელი თავის ერთადერთ ვალდებულებად მიიჩნევს ბავშვისათვის ფაქტობრივი ცოდნის გადაცემას და უგულვებელყოფს პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების მოთხოვნას: „საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მიღწეული შედეგი; გათვალსიწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები.“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, ხუთი ძირითადი სიახლე, 2009-2010 , გვ. 6).



### მასწავლებელი:

მასწავლებელი საკუთარ დანიშნულებას ხედავს მხოლოდ ინფორმაციის გა-დაცემაში და არ ინტერესდება, როგორ აისახება ეს ინფორმაცია ბავშვის ფსიქიკაზე. ის უჩვეულო გულგრილობას იჩენს ბავშვის ემოციური მდგომარეობის მიმართ. ამით კი უგულებელყოფს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნას: პედაგოგი „აცნობიერებს პასუხისმგებლობას თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე;“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, გვ.7).



### განათლების საეციალისტი:

ამ შემთხვევაში სასურველი იქნებოდა მასწავლებელს გამოეთქვა შექმნილ სიტუაციასთან გამკლავების სურვილი, მშობელთან ერთად ეძებნა პრობლემის გადაჭრის გზა, კერძოდ:

უპირველეს ყოვლისა, გასაუბრებოდა ბავშვს, მოესმინა მისი არგუმენტები;

აეხსნა ბავშვისთვის, რამდენად მნიშვნელოვანია მოზარდისათვის ცხოველური ცილები, ენზიმები, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ამ ნივთიერებების ნაკლებობამ;

აეხსნა, რომ ხორცის ჭამით არ ირღვევა არც რელიგიური, არც ეთიკური და მორალური პრინციპები. შესაძლოა კიდევ ბევრი არგუმენტის მოყვანა.

სასურველია, მასწავლებელმა გადახედოს მის მიერ გამოყენებულ სასწავლო მეთოდებს, მასალის მიწოდების ფორმებს (მაგ. შეიძლება ის განსაკუთრებულ აქცენტებს აკეთებს ცხოველებისა და ადამიანების ფიზიკური აგებულების მსგავსებაზე).



### ფსიქოლოგი:

ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ თუ ამის შემდეგაც ბავშვი უარს განაცხადებს ხორცის მიღებაზე, მაშინ გამოსავალი იქნება, თუ მასწავლებელი და მშობლები პატივს სცემენ ბავშვის გადაწყვეტილებას და არ შეენინააღმდეგებიან მის ვეგეტარიანელობას. ეს გამართლებულია, რადგან, როგორც ჩანს, ნინო ძალიან მგრძნობიარე ბავშვია, ამიტომ თუ მას აიძულებენ ხორცის ჭამას, გაცილებით მეტი ზიანი მიადგება მის ფსიქიკას, ვიდრე ვეგეტარიანელობა მიაყენებს მის ორგანიზმს.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №13

სკოლის დირექტორი: „მას შემდეგ, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებმა (შემოკლებით სსმ) გაიარეს მოსამზადებელი პერიოდი, გადაწყდა მათი ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კლასში. სხვა მოსწავლეთა მშობლებმა გამოთქვეს პრეტენზია ამ ფაქტის გამო, რადგან, მათი აზრით, მასწავლებელი ვერ მოახერხებდა ყურადღების სათანადოდ გადანაწილებას მთელ კლასშე. გარდა ამისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის კლასში ყოფნა მათ შვილებს დათრგუნავდა. დამრიგებელმა პრობლემა შემდეგნაირად გადაჭრა: სანამ შეხვდებოდა მშობლებს, ბავშვებს მიაწოდა ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების შესახებ, უთხრა, რომ ისინი მათ გვერდით ისწავლიდნენ. შემდეგ სთხოვა, საკუთარი შეხედულებები და დამოკიდებულება წერილობით გადმოეცათ. ნაწერების გაანალიზებამ გამოავლინა, რომ ბავშვები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მიმართ დადებითად იყვნენ განწყობილი და მათთან ურთიერთობის სურვილი პქონდათ. არც ერთ ნაწერში არ ჩანდა აგრესია ან შიში. დამრიგებელმა მოიწვია მშობელთა კრება, რათა მათთვის გაეცნო ინკლუზიური განათლების პრინციპები, წაუკითხა ამონარიდები მათი შვილების ნაწერებიდან, გააცნო მათი დამკიდებულება მოცემულ საკითხზე. კრებაზე შეიცვალა მშობლების განწყობა და სიტუაცია გამოსწორდა.“



### გასწავლებელი:

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლება ის საკითხია, რომლის გადაწყვეტის სტრატეგია აქამდე საქართველოში არ არსებობდა. ხშირად მისი გადაჭრის მცდელობა ამ პრობლემასთან უშუალო შეხების მქონე ადამიანების კეთილ ნებასა და ჰუმანურობაზე იყო დამოკიდებული. პედაგოგისათვის რთულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლესთან მუშაობა, თუ მასწავლებელი არ არის სათანადო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი. ამ მიმართულებით პროფესიული განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმატებული ინკლუზიური განათლებისათვის.



## განათლების სპეციალისტი:

ამჟამად ინკლუზიური განათლება სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკის განუყოფელ და უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და, შესაბამისად, შემუშავებულია მისი განხორციელების პედაგოგიური პრინციპებიცა და სამართლებრივი ბაზაც. ბავშვის უფლებების კონვენციის 22.1. მუხლის შესაბამისად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში უნდა ხორციელდებოდეს ინკლუზიური განათლება. სსსმ მოსწავლეებისათვის სპეციალიზებულ სკოლებსა თუ კლასებში სწავლასთან ერთად განათლების მიღების მნიშვნელოვანი აღტერნატივა უნდა იყოს საჯარო სკოლები.

როგორც ერთ, ისე მეორე მიდგომას, ანუ სსსმ მოსწავლის განთავსებას სპეციალიზებულ სკოლაში ან მის ინტეგრაციას ჩვეულებრივ კლასში, აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაგრამ ხშირად სსსმ მოსწავლეებისათვის გაცილებით ეფექტურია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლა. სწორედ ამიტომ დღეს საქართველოში ფართოდ გავრცელდა ინკლუზიური განათლების იდეა, რომელსაც განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებმა შეუწყო ხელი. სკოლის საგანმანათლებლო რეფორმის ამოსავალ წერტილს მოსწავლე და მისი სასწავლო მოთხოვნილებები და საჭიროებები წარმოადგენს. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მოსწავლეთა საჭიროებები მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მაღალკვალიფიციური მასწავლებელი „იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში“. (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი გვ. 7) იგი კარგად აცნობიერებს, რომ სსსმ მოსწავლეთა განათლება შეუძლებელია შესაბამისი გარემოს შექმნის გარეშე. ამაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება კლასის დანარჩენ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან მუშაობა. მასწავლებელმა პირდაპირ კი არ შეიყვანა კლასში „სხვანაირი ბავშვი“, არამედ ჯერ მოამზადა ნიადაგი ამისათვის — აუხსნა მოსწავლეებს, რას ნიშნავს „განსხვავებულობა“ და მისცა შესაძლებლობა, მათ საკუთარი აზრი გამოეხატათ ამ საკითხზე. პედაგოგმა „იცის, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობები... და ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ეთიკური ლირებულებების ჩამოყალიბებას.“ (იქვე გვ.7)

მასწავლებელმა თავისი მიდგომით კეთილად განაწყო მოსწავლეები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე თანატოლების მიმართ და თითოეულს მისცა თავისი ემოციის გადმოცემის საშუალება, ამისთვის წერილობითი ფორმა აირჩია. აზრის ზეპირი გადმოცემისას შეიძლებოდა ყველა

მოსწავლეს ვერ მოესწრო ან არ ესურვა აზრის გამოთქმა, მასწავლებელს კი ამ შემთხვევაში თითოეულის პოზიციის მაქსიმალურად გულწრფელი, გულახდილი და შეუზღუდავი გამოხატვა სჭირდებოდა. მოსწავლეთა ცალსახად პოზიტიური დამოკიდებულება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე თანატოლებისადმი მშობლებს არა მარტო დაარმმუნებდა თავიანთი ვარაუდის უსაფუძვლობაში, არამედ დააფიქრებდა კიდეც საკუთარი პოზიციის ეთიკურ მხარეზე.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მასწავლებელმა მოსწავლეები თავის მოკავშირეებად აქცია და ამას მიაღწია არა დამოძღვრითა და ზოგადი ლოზუნგებით, არამედ სწორად შერჩეული სტარტეგიით.

ამგვარი მიდგომით მასწავლებელი ასევე თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე ზრუნავს. მაღალკვალიფიციური მასწავლებელი „აცნობიერებს პასუხისმგებლობას თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე;“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.გვ.7)



### ფსიქოლოგი:

ალსანიშნავია, რომ მასწავლებელმა არ უგულებელყო არც მშობლების პრეტენზია და შეშფოთება, რომ სსსმ მოსწავლის გამო კლასში სწავლების დონე დაინტენდა. მან ისე ააგო თავისი ურთიერთობა მშობლებთან, რომ საკითხისადმი მათი ნეგატიური დამოკიდებულება პოზიტიურით შეიცვალა. ასეთი ქმედებით მასწავლებელმა დაადასტურა, რომ აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნას: პედაგოგმა „იცის, როგორ გამოიყენოს კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხი კოლეგებთან, მშობლებთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობებისთვის“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი გვ.8).

იმისათვის, რომ ინკლუზიური განათლება ეფექტურად მიმდინარეობდეს, მასწავლებელი ინტენსიურად უნდა მუშაობდეს მოსწავლეებთან და მშობლებთან. უპირველეს ყოვლისა, პედაგოგმა უნდა გაიგოს მათი შეხედულებები, დამოკიდებულებები. შემდეგ კი გააცნოს ინკლუზიის ძირითადი ღირებულებები, კერძოდ ეს არის:

ყველას აქვს უფლება იყოს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი;

აუცილებელია თანამონაწილეობისა და სოციალური ურთიერთობის ხელშეწყობა და წახალისება;

განსხვავებულობა არ უნდა იყოს გარიყვისა და იზოლაციის საფუძველი.

აუცილებელია, აგრეთვე, ბავშვებისა და მშობლებისათვის იმის გაცნობიერება, რომ სსსმ მოსწავლეებთან ერთად სწავლა მთელი კლასისათვის სას-

არგებლოა, რადგან სწორად ორგანიზებული ინკლუზიური განათლების დროს ეჩვევიან ბავშვები განსხვავების მიღებასა და პატივისცემას, უყალიბდებათ ურთიერთდახმარების, თანამშრომლობის განწყობა და უფრო ემპათიურები ხდებიან.

ინკლუზიური განათლების სწორად მართვა საკმაოდ რთულია. მარტო მასწავლებელს გაუჭირდება მისი განხორციელება, რადგან ეს უამრავ ძალისხმევას მოითხოვს პედაგოგისაგან. სკოლებში, სადაც ინკლუზიური განათლება ინერგება, სასურველია, რომ დამატებით სხვადასხვა სპეციალისტიც მუშაობდეს. მაგ.: ლოგოპედი, ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი ან სპეციალური მასწავლებელი, რათა მასწავლებელს საშუალება ჰქონდეს, მიმართოს მათ დახმარებისათვის.



შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №14

მასწავლებელი მოგვითხრობს: „ერთ-ერთმა ჩვენმა პედაგოგმა იმის გამო, რომ ვერ დაიმორჩილა კლასი, გაკვეთილის მსვლელობის დროს გაუფრთხილებლად მიატოვა IX კლასის მოსწავლეები. ვაშები ჩხუბობდნენ და, სიტუაციის დარეგულირების ნაცვლად, მასწავლებელი გაიქცა გაკვეთილიდან.“



### ფსიქოლოგი:

ნამოვიდგინოთ არც ისე დიდი, დახურული სივრცე (საკლასო ოთახი), რომელშიც ერთმანეთს გამეტებით ურტყამენ 14-15 წლის ვაჟები, ოთახში დაგას გამაყრუებელი ხმაური, არავის არაფერი ესმის, სიტუაციის კონტროლი თითქმის შეუძლებელია. გასაკვირი არ არის, რომ მასწავლებელს დაუფლებოდა უსუსურობისა და დაუცველობის დამთრგუნველი განცდა.

14-15 წელი ის ასაკია, რომელიც ხასიათდება ჰორმონების მოზღვავებით. ჰორმონები არის ძლიერი ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ენდოკრინული ჯირკვლების მიერ გამოიყოფა და მთელ სხეულს სისხლის საშუალებით გადაეცემა. ჰორმონების სიჭარბე ხშირად მათ აგრესიულობას უწყობს ხელს. თუმცა აგრესია მოზარდებში მხოლოდ ჰორმონალურ ფაქტორებზე როდია დამოკიდებული. აგრესიის გამომწვევ მიზეზთა შორის შეიძლება იყოს სოციალური ან ფსიქოლოგიური ფაქტორები: ბავშვები ინტენსიურად უყურებენ ძალადობას მასმედიაში, ოჯახში, უბანში. ბავშვი შეიძლება იყოს ჰიპერაქტიური და სხვა. (დეტალური ინფორმაცია იხილეთ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარების ცენტრის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში „განვითარებისა და სწავლის თეორიები,“ 2008 წ. გვ. 11- 46).

შეიძლება ვითიქროთ, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში მოცემულობაში აღნიშნულ პედაგოგს შიში და პანიკა იპყრობს, კონცენტრაციისა და თვითკონტროლის უნარს კარგავს და გაქცევით შველის თავს. მაგრამ მასწავლებლის ქცევა აგრეთვე გვაფიქრებინებს, რომ იგი თავს არიდებს ან ვერ უმკლავდება პროფესიულ ვალდებულებას. თუ იგი ხვდებოდა, რომ თვითონ ვერ შეაჩერებდა კლასში ატეხილ ჩხუბს, დასახმარებლად უნდა მიემართა კოლეგებისათვის. სამომავლოდ კი ეზრუნა თავის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე, შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რათა შეძლებოდა მსგავსი შემთხვევების პრევენცია.



## მასწავლებელი:

ნაცვლად იმისა, რომ კლასიდან გამოსულ მასწავლებელს დასახმარებლად კოლეგებისთვის მიემართა, მან დატოვა კლასი და, უფრო მეტიც, არ დაინტერესებულა მის მიერ მიტოვებული მოსწავლების ბედით. მოსწავლის სკოლაში ყოფნისას, მით უმეტეს, გაკვეთილის მსვლელობისას, მის უსაფრთხოებაზე პასუხს აგებს, უპირველეს ყოვლისა, თავად მასწავლებელი და შემდეგ მთელი სკოლა. პედაგოგმა მოსწავლეებს პრობლემური სიტუაციისაგან გაქცევის, მოვალეობისადმი უპასუხისმგებლობა დამოკიდებულების მაგალითი მისცა. იგი ვერ ახერხებს, მოსწავლეებს შორის კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვას. უნდა ითქვა ისიც, რომ მასწავლებელი, რომელიც საინტერესო და მრავალფეროვან გაკვეთილებს ატარებს და იცის მოსწავლეთა მოტივაციის გზები, იშვიათად აღმოჩნდება მსგავს სიტუაციაში. მასწავლებელი კი სწორედ პროფესიული უნარების ნაკლებობის თუ არქონის გამო მიმართავს არაადეკვატურ გზას.



## განათლების საეციალისტი:

თუ პედაგოგი ჩათვლიდა, რომ ვერ აჩერებს კლასში ატენილ ჩხუბს, მას დასახმარებლად უნდა მიემართა კლასის დამრიგებლისათვის და მასთან ერთად დაედგინა კონფლიქტის მიზეზები; თუკი მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი საკუთარი ძალებით ვერ მოახერხებდნენ წამოჭრილი კონფლიქტის მოგვარებას და მოსწავლეებს შორის დაძაბულობა არ განელდებოდა, მაშინ მათ, სასურველია, დირექტორისთვისაც ეცნობებინათ ეს ფაქტი. სიტუაციის გაანალიზებისა და შეფასების შემდეგ, თუ მასწავლებელი და დირექტია საჭიროდ ჩათვლიან, რეკომენდებულია მშობლების ინფორმირება.

სკოლის შინაგანანებში უნდა არსებობდეს პუნქტი, რომელიც დაარეგულირებს მსგავს უპასუხისმგებლობა ქმედებას მასწავლებლის მხრიდან. კლასის მიტოვება კონფლიქტურ სიტუაციაში განხილული უნდა იქნას, როგორც პროფესიული უპასუხისმგებლობა.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №15

მასწავლებელი გვიამბობს: „დასვენებაზე ფანჯარასთან მდგომ ჩაფიქრებულ ხანდაზმულ მასწავლებელს გოგონამ ყურზე მობილური მიადო: „ნახეთ, მასწ, რა მაგარი მუსიკაა...“ შეცბუნებულმა მასწავლებელმა მოსწავლეს სილა გააწნა.“



### ფსიქოლოგი:

მასწავლებელმა მოსწავლეს შესვენებაზე ყველას თანდასწრებით ხელი გაარტყა. ამით მან მიაყენა მოსწავლეს არა მარტო ფიზიკური, არამედ მორალური შეურაცხყოფა, რაც ყოვლად მიუღებელი საქციელია.

ასეთია მდგომარეობა ერთი შეხედვით, მაგრამ წარმოვიდგინოთ ხანდაზმული ადამიანი, რომელიც თავისთვის ჩაფიქრებული დგას და ამ დროს ყურთან გამაყრულებელი ხმაურის წყარო ჩნდება. მასწავლებლის საქციელი შეიძლება მივაწეროთ მოულოდნელ გამლიზიანებელზე უნებლიერ, ავტომატურ რეაქციათა რიგს.




### მასწავლებელი:

საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი მოსწავლის არაეთიკურ ქცევას. გოგონა მასწავლებელს ყურზე ადებს მობილურ ტელეფონს. როგორც ჩანს, ბავშვს არ აქვს პატივისცემა უფროსების მიმართ, იგი ზედმეტ ფამილარობას იჩენს მასწავლებლისადმი და არ იცნობს სკოლაში და მასწავლებელთან მოქცევის წესებს. ამ დეტალებით შეიძლება მასწავლებლის ქცევის ახსნა (და არა გამართლება), მაგრამ ფაქტი ერთია: გოგონა ბევრი ბავშვის თანდასწრებით შეურაცხყვეს, რაც მას ტრავმას მიაყენებდა და თავმოყვარეობას შეულახავდა.



## განათლების სპეციალისტი:

ასეთ და მსგავს სიტუაციაში მოსწავლე გოგონას ასაკობრივი და სოციალური სუბიექტის დარღვევასა და უადგილო ფამილიარობაზე აუცილებლად უნდა მიეთითოს. პედაგოგი უნდა მოეპყრას ბავშვს პატივისცემით, აუხნას თავისი ქცევის მიზეზი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისგანაც საპასუხო პატივისცემის მოთხოვნა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დარეგულირდეს ურთიერთობა ორივე მხარისათვის სასარგებლოდ.



შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №16

მასწავლებლის მონათხრობი: „მრავალი ნლის პედაგოგიური საქმიანობის შემდეგ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა ერთმა უნებურად დაშვებულმა შეცდომამ. XI კლასელი გოგონას მშობელი მოვიდა ჩემთან და მთხოვა, მისი შვილი მომემზადებინა. კერძო მოსწავლეების ნაკლებობას არასოდეს ვუჩიოდი, ამიტომ საკუთარი მოსწავლის მომზადებას ვერიდებოდი. მშობელი არ მომეშვა: „მე სხვას ჩემს შვილს ვერ ვანდობ, მას თქვენი გამოცდილება, ცოდნა, მიდგომა სჭირდება, თან აქვე ცხოვრობთ და გზაში დრო არ დაგვეხარჯება. ნიშანში არავითარ შეღავათს არ გთხოვთ, მხოლოდ ცოდნა მიეცით მას, ეროვნულ გამოცდებს რომ გაუძლოსო.“ ბოლოს და ბოლოს დამიყოლია. ბავშვი ამყვა, უკეთესად დაინტერესონ მეცადინეობა და შედეგი მალე თვალსაჩინო გახდა. სამწუხაროდ, შევამჩნიე, რომ მისი თანაკლასელების ჩემდამი დამოკიდებულება შეიცვალა, თითქოს ის ნდობა, რიდი და პატივისცემა გაქრა. ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა, მაგრამ რა მექნა, ამ გოგონასაც ვერ ვუდალატებდი, რადგან მისი მომზადება დავიწყე, შუა გზაზე ვერ მივატოვებდი.“



### მასწავლებელი:

საკუთარი მოსწავლის კერძოდ მომზადება ზოგადად პრობლემური საკითხია და ასეთი ეთიკური დილემის წინაშე ბევრი მასწავლებელი დგას. მოცემულ სიტუაციაში მასწავლებელი გულწრფელია, როცა ამბობს, რომ მოსწავლეების დამოკიდებულების შეცვლამ მასზე „ძალიან იმოქმედა“, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა არ აძლევს უფლებას, შუა გზაზე მიატოვოს გოგონა: „რა მექნა, ამ გოგონასაც ვერ ვუდალატებდი, რადგან მისი მომზადება დავიწყე, შუა გზაზე ვერ მივატოვებდი.“

იქმნება სიტუაცია, რომელშიც მასწავლებელმა ოპტიმალური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს...



### ფსიქოლოგი:

სიტუაციის მიხედვით, მასწავლებლის მეტად საინტერესო სახე იხატება: „ეს არის საკუთარ კომპეტენციაში დარწმუნებული პედაგოგი და, როგორც ჩანს, ეს რეალურ საფუძველს არ არის მოკლებული. მშობლის სიტყვები ადასტურებს ამ

ფაქტს: მე სხვას ჩემს შვილს ვერ ვანდობ, მას თქვენი გამოცდილება, ცოდნა, მიდგომა სჭირდება...“ იგი ნდობას უცხადებს მასწავლებლის კომპეტენციას და შვილის მომზადებაზე ითანხმებს.

გადაწყვეტილების მიღებისას, სავარაუდოდ, პედაგოგზე ზეგავლენა იქონია შემდეგმა ფაქტორებმა. კერძოდ:

უპირველეს ყოვლისა, მან ეს გადაწყვეტილება მიიღო ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. როგორც ჩანს, მოსწავლისათვის მართლაც ძალიან მოსახერხებელი იყო მასთან მომზადება, რადგან ის ახლოს ცხოვრობდა მასწავლებელთან;

სხვა პედაგოგებთან შედარებით, მან უკეთესად იცოდა ამ მოსწავლის საჭიროებები; ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარების ცოდნა და გათვალისწინება, ბუნებრივია, მას ხელს შეუწყობდა სწავლებაში;

აღსანიშნავია ისიც, რომ მშობელი მომზადებას არ სთხოვდა მასწავლებელს იმის გამო, რომ მას უკეთესი ნიშნები დაეწერა მისთვის.



### განათლების სპეციალისტი:

მასწავლებელი თავის ქმედებას მაინც შეცდომად აღიარებს: „...მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა ერთმა უნებურად დაშვებულმა შეცდომამ...“ და მართებულადაც. კლასის მოსწავლეების დამოკიდებულება, სავარაუდოდ, შეიცვალა იმის გამო, რომ მათ შეამჩნიეს ის სხვაობა ცოდნაში, რომელიც მათსა და ამ გოგონას შორის იქნებოდა (ბუნებრივია, კერძოდ მომზადება, სადაც ბავშვს ეთმობა დიდი დრო, ყურადღება, სადაც გაკვეთილი მთლიანად ერგება მის მოთხოვნებსა და საჭიროებებს, შესამჩნევ შედეგებს მოიტანდა). მასწავლებლის არცთუ ეთიკური გადაწყვეტილების გამო მისი კლასის მოსწავლეები არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ, ამიტომ ბუნებრივია მათი რეაქცია. მოსწავლეებმა დაკარგეს ნდობა, რიდი და პატივისცემა, რომელიც ადრე ჰქონდათ პედაგოგის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ძნელია დაწყებული საქმის შუა გზაში მიტოვება, მით უმეტეს, თუ ეს ეხება ბავშვს, მასწავლებელმა მაინც უნდა თქვას უარი საკუთარი მოსწავლის რეპეტიტორობაზე. მან უნდა აუხსნას მშობელს, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ბავშვზე ზრუნვითაა ნაკარნახევი. ამით ის გოგონას კლასელებთან ურთიერთობის გართულებას არიდებს. მეცადინეობის შეწყვეტა სხვა მოსწავლეების ინტერესებსაც დაიცავს. მათ არ ექნებათ სოციალური უსამართლობისა და იმის განცდა, რომ მასწავლებელი მიკერძოებულია რომელიმე კონკრეტული მოსწავლის მიმართ. პედაგოგმა, სასურველია, მეტი ძალისხმევა გამოიჩინოს ამ კლასთან მუშაობისას, ინდივიდუალურად მიუდგეს მოსწავლეებს, რათა მკვეთრი სხვაობა მათი ცოდნის დონის თვალსაზრისით შეძლებისდაგვარად აღმოიფხვრას.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №17

მოსწავლე მოგვითხრობს: „ჩემს კლასში სწავლობს ბიჭი, რომელსაც აქვს განსხვავებული ვარცხნილობა და აცვია განსხვავებულად. არც ერთ მასწავლებელს არ მოსწონს მისი ჩაცმულობა და ვარცხნილობა. ბევრჯერ სთხოვეს, რომ სკოლაში ასე აღარ მოსულიყო, მაგრამ გიორგის არაფერი შეუცვლია. ერთი კვირის წინ ქიმიის მასწავლებელმა მას მთელი კლასის წინაშე უყვირა: „რას ჰგავხარ, როგორ გაცვია, სახლიდან ასე როგორ გიშვებენ?..“ რაზეც გიორგიმ უპასუხა, რომ ის ჩაიცვამდა ისე, როგორც მას მოსწონს. მასწავლებელი დიდხანს ლანძღავდა „ახლანდელ თაობასა და ახლანდელ ბავშვებს.“



### ეასეავლებალი:

სიტუაციიდან ჩვენთვის უცნობია, თუ რას გულისხმობდა თავისი თანაკლასელის შესახებ ნათქვამ ფრაზაში მთხრობელი მოსწავლე: „ბიჭი, რომელსაც აქვს განსხვავებული ვარცხნილობა და აცვია განსხვავებულად.“ ეს ფრაზა რომ მასწავლებლის მიერ იყოს ნათქვამი, შეიძლება ჩაგვეთვალა, რომ მოსწავლე იცვამს თავისი ასაკისთვის დამახასიათებელი გამომწვევი სტილითა და გამიზნულად ხაზგასმული დაუდევრობით, რაც მიუღებელია უფროსი თაობისათვის. მაგრამ გიორგის ჩაცმულობისა და ვარცხნილობის განსხვავებულობაზე ლაპარაკობს მისივე თანაკლასელი და თანატოლი. როგორც ჩანს, ბიჭის გარეგნული იერი მისთვისაც უჩვეულოა და განსხვავდება სხვა თანატოლების ვარცხნილობისა და ჩაცმულობისაგან.

ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ყველა მასწავლებელი მაინც დამაინც გიორგის გარეგნული სახის მიმართ გამოთქვამს უკმაყოფილებას, ზოგიერთი კი აშკარად ავლენს აგრესიას, როგორც აღნერილ სიტუაციაში ქიმიის მასწავლებელი.



### განათლების სპეციალისტი:

ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რით არის განსხვავებული გიორგის ჩაცმულობა და ვარცხნილობა: შეესაბამება თუ არა მის ასაკს, სქესს, ელემენტარული ეთიკის ნორმებს. თუ გიორგის ტანსაცმლისა და ვარცხნილობის განსხვავებულობა

არ ეწინააღმდეგება სკოლის შინაგანწესით დადგენილ წესებს, მაშინ გიორგის პედაგოგები და, კერძოდ, ქიმიის მასწავლებელი არ უტოვებენ მას თავისუფალი არჩევანის საშუალებას, რაც მოსწავლის პიროვნული უფლებაა. ბავშვების გამომწვევი გარეგნული იერი, მათი ჩაცმულობა შესაძლოა იყოს პროტესტის ნიშანი, საკუთარი ინდივიდუალობის ხაზგასმა, მსოფლმხედველობრივი კუთვნილების გამოძახილი. მასწავლებელი რომ დაინტერესებულიყო იმით, თუ რა განაპირობებდა გიორგის გამორჩეულობის სურვილს, გულისყურით მოესმინა მოსწავლის აზრი, შეექმნა გულწრფელობისა და გულახდილობის აჭმოსფერო, შესაძლოა, კონფლიქტური სიტუაცია არ წარმოქმნილიყო.

მოსწავლე გვიამბობს, რომ მასწავლებელი დიდხანს ლანდლავდა ახლანდელ თაობას. ამით პედაგოგმა კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. განაზოგადა რა კონკრეტული მოსწავლის ქცევა, სხვა მოსწავლეების უკმაყოფილებაც გამოიწვია, რაზეც ეს მონათხოვი მეტყველებს. ამასთან მან არამიზნობრივად გამოიყენა გაკვეთილისათვის განკუთვნილი დრო.





## ფსიქოლოგი:

მასწავლებელი უნდა იცნობდეს იმ თაობის ინტერესებსა და გემოვნებას, რომელსაც ეკუთვნიან მისი მოსწავლეები, რათა შეძლოს ამ ინტერესების გათვალისწინება სწავლებასა და ურთიერთობებში.

თუ გიორგის ჩაცმულობა და ვარცხნილობა საშიშროებას უქმნის სასწავლო პროცესის მსვლელობას, მასწავლებელმა, პირველ რიგში, უნდა გაარკვიოს, რა საფუძველი აქვს მოსწავლის განსხვავებულ გარეგნობას. ამისათვის მან უნდა სცადოს ბავშვთან პირისპირ გულახდილი და გულწრფელი საუბარი. მოსწავლესთან დიალოგი და გულახდილი საუბარი კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ის ხედავს, რომ მის აზრებს სერიოზულად ეკიდებიან და მის ინტერესებს ითვალისწინებენ.

თუ მასწავლებელი ამონურავს მოსწავლესთან თანამშრომლობის ყველა გზას, სასურველია, ამ პრობლემის გადაჭრა მოსწავლის მშობლებთან ურთიერთობით სცადოს. თუ სკოლის შინაგანაწესში არ არის პუნქტი მოსწავლეთა ჩაცმულობაზე, მაშინ სასურველია, პედაგოგმა რეკომენდაციით მიმართოს სკოლის დირექციას შინაგანაწესში შესაბამისი პუნქტის შეტანის თაობაზე.

ზოგადად, მიზანშეწონილია, რომ მასწავლებელმა არ გაამახვილოს ყურადღება და უკომენტაროდ დატოვოს გაკვეთილის მსვლელობისას განსხვავებულად ჩაცმული მოსწავლე, რადგან ზოგჯერ მოსწავლეთა უცნაურ ან დაუდევარ ჩაცმულობასა და ვარცხნილობას სწორედ უფროსთა მხრიდან ყურადღების მიქცევის ან მათი გამოწვევის სურვილი განაპირობებს.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №18

მასწავლებელი გვიამბობს: „ერთ-ერთ სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებელი ყოველ სასწავლო დღეს იწყებდა ლოცვით. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ-ერთი ბავშვი მივიდა მასთან და გაუმხილა, რომ სხვა აღმსარებლობისაა და მისი რწმენა კრძალავს ქრისტიანულ ლოცვას. მასწავლებელმა გამოსავალი მონახა: ლოცვის დაწყებისას მოსწავლე უნდა გასულიყო გარეთ და შემოსულიყო მისი დასრულების შემდეგ. რამდენიმე დღის შემდეგ თანაკლასელებს უჩვეულოდ მოეჩვენათ ეს და ბავშვს დაცინვა დაუწყეს, მან კი დედასთან დაიჩივლა. მშობელი მოვიდა პედაგოგთან და სთხოვა, იქნებ რაიმე სხვა გამოსავალი მოეძებნათ, მის შვილს დაჩაგრულად რომ არ ეგრძნო თავი. მასწავლებელმა მიუგო: „კლასში ოცდაათი მოსწავლე მიზის. ყველას მშობელი კმაყოფილია, ლოცვით რომ ვიწყებ გაკვეთილს. მეც იმას ვაკეთებ, რითაც დიდი უმრავლესობაა კმაყოფილი.“



### მასწავლებელი:

სიტუაციის მიხედვით არ ჩანს, ეს „ერთ-ერთი სკოლა“ კერძოა თუ საჯარო, არადა, ამისი ცოდნა აუცილებელია მასწავლებლის საქციელის ობიექტურად შეფასებისთვის. კანონი ზოგადი განათლების შესახებ ამბობს, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან. ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან.“ („კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 3).

აღნერილ შემთხვევაში პედაგოგი არამართებულად იქცევა, რადგან გაკვეთილისათვის განკუთვნილ დროს არ იყენებს მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის. ერთობლივი ლოცვა წინ კი არ უძლვის გაკვეთილს, არამედ იკავებს უშუალოდ გაკვეთილისათვის განსაზღვრული დროის ნაწილს.

ლოცვის რიტუალი საგაკვეთილო პროცესში რომ არ შემდგარიყო, შესაძლოა, კონფლიქტური სიტუაცია არც შექმნილიყო. ერთი აღმსარებლობის ბავშვები ერთად ილოცებდნენ გაკვეთილის წინ და არა საკლასო ოთახში. შესაბამისად, ლოცვაში მონაწილეობა-არმონაწილეობა არ გახდებოდა თანაკლასელთა დაპირისპირების საფუძველი.

მასწავლებელი ვალდებულია, გამოიჩინოს თანაბარი ყურადღება ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა. აღნერილ სიტუაციაში კი, იმის გამო, რომ სხვა აღმ-

სარებლობისაა, ბავშვი გაკვეთილის გარკვეული დროის განმავლობაში სრული-ად უყურადღებოდ რჩება.



### ფსიქოლოგი:

მასწავლებლის ქმედებამ განაპირობა ის, რომ თანაკლასელებმა ბავშვი აღიქვეს, როგორც მათგან განსხვავებული. მოსწავლეთა გამიჯვნით, თუნდაც დილის ერთობლივი ლოცვისას, მასწავლებელი ფაქტობრივად აყალიბებს მცირენ-ლოვან ბავშვებში თავისიანისა და უცხოს განცდას, რომელიც ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება იქცეს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებათა, უპირველეს ყოვლისა, ტოლერანტობის ჩამოყალიბებისას.



### განათლების სპეციალისტი:

თუ მასწავლებლის სურვილია, რომ ილოცოს სასწავლო დღის დასაწყისში თავისი კლასის მოსწავლეებთან ერთად, მას შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, მივიდნენ სკოლაში გაკვეთილების დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე და ილოცონ მასთან ერთად. სკოლაში ადრე მივლენ ის მოსწავლეები, რომლებსაც მართლაც აქვთ მასწავლებელთან ერთად ლოცვის სურვილი. ამგვარად, პედა-გოგი არასაგაკვეთილო აქტივობისათვის არ გამოიყენებს გაკვეთილისათვის განკუთვნილ დროს, სხვა აღმსარებლობის ბავშვი კი არ დარჩება უმეთვალყურეოდ.

ეს შემთხვევა კარგი საშუალებაა საიმისოდ, რათა მასწავლებელმა აუხსნას ბავშვებს, რომ არსებობს სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობა და, შესაბამისად, არსებობენ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები. ყველა ადამიანი ვალდებულია, პატივისცემით მოეპყრას სხვა რელიგიის წარმომადგენლებს. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს მაგალითად მოუყვანოს საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დამოკიდებულება სხვა რელიგიებისა და მათი მიმდევრების მიმართ.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №19

მოსწავლე გვიამბობს: „ძალიან მწყდება გული იმაზე, რომ პევრი მასწავლებელი ბავშვს აფასებს და ექცევა იმის მიხედვით, თუ როგორი ეკონომიური შესაძლებლობა აქვს მის ოჯახს. ეს ჩემს თავზე გამოვცადე. ერთ-ერთ საგანში მომზადება დავიწყე. კერძო მასწავლებლით მეც და ჩემი ოჯახიც ძალიან კმაყოფილები ვიყავით, მაგრამ საგნის პედაგოგს არ მოსწონდა ჩემი ცოდნის დონე და დაბალ ნიშანს მიწერდა. მდგომარეობის გასარკვევად სკოლაში დედა მოვიდა. მასწავლებელმა მას პირდაპირ უთხრა, რომ სანამ მასთან არ მოვემზადებოდი, მაღალ ნიშანს არ დამიწერდა. მეც მინდოდა ამ პედაგოგთან მომზადება, მაგრამ ძალიან ძვირი დაგვიფასა და ვერ შევძელით. მიუხედავად ჩემი მონდომებისა, ამ საგანში დღემდე ძალიან დაბალი ნიშნები მყავს.“



### გასწავლებელი:

ეს სიტუაცია განეკუთვნება იმ იშვიათ შემთხვევათაგანს, როდესაც მასწავლებლის ქმედებაში ძნელია მონახო რაიმე დადებითი. პედაგოგი აიძულებს მოსწავლეს, მასთან მოემზადოს და ამის სანაცვლოდ მოითხოვს ანაზღაურებას. როგორც ბავშვი გვიამბობს, მშობელთან საუბრისას მასწავლებელმა მას პირდაპირ უთხრა, რომ სანამ მასთან არ მოემზადებოდა, მაღალ ნიშანს არ დაუწერდა. საგნის ნიშნით მანიპულირების უფლება მასწავლებელს არ აქვს, რადგან ნიშანი მხოლოდ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას უნდა ასახავდეს: „საგნის ნიშანი გამოხატავს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას.“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2009-2010, გვ.15).



### ფსიქოლოგი:

ყველა პედაგოგისათვის უდავო ჭეშმარიტება უნდა იყოს, რომ მოსწავლისადმი მის დამოკიდებულებაზე არ უნდა იმოქმედოს ბავშვის სოციალურმა მდგომარეობამ . ეს ბავშვისთვის მოუშუშებელ ტკივილად შეიძლება დარჩეს. აღნერილ სიტუაციაში აშკარაა, რომ მოსწავლე თავისი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის გამო თავს დაჩაგრულად გრძნობს. მასწავლებელი მის მიმართ

აშკარად ტენდენციურია და უპირატესობას ანიჭებს იმ მოსწავლეებს, რომ-ლებიც მასთან ემზადებიან, ანუ ვისაც უკეთესი მატერიალური მდგომარეობა აქვს.



### განათლების სპეციალისტი:

ამ შემთხვევაში არა მარტო სიტუაციაში აღნერილ მასწავლებელს , არამედ ყველას ვურჩევთ, რომ პედაგოგი თანაბრად მოეპყრას ყველა მოსწავლეს, განურჩევლად მათი ოჯახების ეკონომიური შესაძლებლობისა; თავიდან აირიდოს საკუთარი მოსწავლეების კერძოდ მომზადება;

არ გამოიყენოს ნიშანი მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე ზენოლის საშუალებად.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №20

მასწავლებელი მოგვითხრობს: „|| კლასში ბევრი აზერბაიჯანელი მოსწავლეა. იმის გამო, რომ მათ ქართული ენა არ იციან, მეჩაგრებიან ქართველი ბავშვები. მთელ დროს გაკვეთილზე თითქმის მათ ვუთმობ, რომ როგორმე ქართული ენა ვასწავლო. შედეგს მაინც ვერ ვაღწევ, რადგან აზერბაიჯანელი ბავშვები ენის არცოდნის გამო ქართველებთან ნაკლებად ურთიერთობენ. სულ ერთად არიან და ერთმანეთში მშობლიურ ენაზე საუბრობენ. შევეცადე, ბავშვები გამეცალეკებინა. ჯერ თითოეული მათგანი ქართველი ბავშვის გვერდით დავსვი. მერე გადავწყვიტე, ერთმანეთთან აზერბაიჯანულად ლაპარაკი ამექრძალა. მომივარდა ერთი მშობელი და საყვედურებით ამავსო: ვინ მოგცა უფლება, ბავშვს მშობლიურ ენაზე საუბარს რომ უკრძალავო. მაშინ ნუ შემოიყვანდი ქართულ სკოლაში-მეთქი, ვუპასუხე. უკმაყოფილო და განაწყენებული დარჩა. მე რა ვქნა, როგორ მოვიქცე?“



### მასწავლებელი:

სახელმწიფო ვალდებულია, თავის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად რა-სობრივი, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და ა.შ. კუთვნილებისა, მისცეს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრირების თანაბარი შანსი. სახელმწიფო ენის სრულყოფილი ცოდნა კი ამის გარანტს წარმოადგენს. როგორც ჩანს, ეს ესმის პედაგოგს, მას უნდა ერთნაირად გაუნაწილოს თავისი ყურადღება როგორც ქართველ, ისე აზერბაიჯანელ ბავშვებს, მაგრამ წუხს სწორედ იმის გამო, რომ ამას ვერ ახერხებს.



### ჭიდებლობი:

პედაგოგი შეეცადა, როგორმე გადაეჭრა პრობლემა. მისი გადაწყვეტილება, რომ აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლე ქართულენოვანის გვერდით დაესვა, მართებულია. ბავშვს აღარ ექნებოდა თავის მშობლიურ ენაზე გადალაპარაკების საშუალება. ეს ხელს შეუწყობდა კომუნიკაციას ქართულ ენაზე, საბოლოოდ

კი მის უკეთ შესწავლას (ენის ათვისების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა ამ ენაზე მოლაპარაკე თანატოლებთან ინტენსიური ურთიერთობაა). როგორც ჩანს, მასწავლებელი იმედოვნებს, რომ ამგვარი ხერხით ის უფრო დააახლოვებს ბავშვებს და მათი ურთიერთობა არასაგაკვეთილო დროსაც ქართულ ენაზე გაგრძელდება. პრობლემის მოგვარების ეს გზა გარკვეულ დროს საჭიროებს. მასწავლებელი შედეგს მაშინვე ვერ დაინახავდა. როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ეფექტი მყისიერად ვერ მიიღო, პედაგოგმა ეს მიღებომა ფუჭად ჩათვალა. მასწავლებლის განცხადებით: „॥ კლასში.....ბევრი აზერბაიჯანელი მოსწავლეა. იმის გამო, რომ მათ ქართული ენა არ იციან, მეჩაგრებიან ქართველი ბავშვები.“ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, თუ ვისი დაჩაგვრა, ანუ დისკრიმინაცია, ხდება გაკვეთილზე – ქართველი თუ აზერბაიჯანელი ბავშვის, მთავარი ის არის, რომ კლასში ვიღაც იჩაგრება. კარგია, რომ ამას მასწავლებელი თავად აღიარებს, მაგრამ იგი ვერ პოულობს პრობლემის გადაჭრის გზებს.



### განათლების სპეციალისტი:

სიტუაციის თანახმად, მეორეკლასელი აზერბაიჯანელი ბავშვები ქართული ენის არცოდნის გამო ქართველ თანაკლასელებთან ნაკლებად ურთიერთობენ. ისინი ერთმანეთში მხოლოდ მშობლიურ ენაზე საუბრობენ. მათვის ეს უფრო მოსახერხებელია და ამიტომ ცდილობენ სულ ერთად ყოფნას. აზერბაიჯანელ მოსწავლეებს, ენის შესწავლისას, ხელის შემშლელი ფაქტორებისაგან თავის დაღწევაში პროფესიონალი მასწავლებელი უნდა დაეხმაროს, რომელსაც შეუძლია ინდივიდუალური მიღებომა და ფლობს ენის ინტენსიური სწავლების მეთოდებს, „იცნობს მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიღებებსა და პრინციპებს და იყენებს მათ სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში;“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, გვ.7). სამწევაროდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მასწავლებელი პრობლემის გადაჭრის არასწორ გზას იოჩევს. („გადავნევიტე, ერთმანეთთან აზერბაიჯანულად ლაპარაკი ამეკრძალა“). ბუნებრივია, რომ მშობელი გააღიზიანა მშობლიურ ენაზე ლაპარაკის აკრძალვამ. ამით აიხსნება მშობლის რეაქცია და პრეტენზიები. მშობლიურ ენაზე ლაპარაკის აკრძალვის ნაცვლად მასწავლებელს ისეთი საკლასო და არასაკლასო აქტივობები უნდა დაეგეგმა (მაგალითად, სპექტაკლი ქართულად, როლური თამაშები, სიტუაციური ამოცანები და ა.შ.), რომელიც წაახალისებდა ბავშვებს, გააუმჯობესებდა მათ ქართულ ენაზე მეტყველებას. ასევე, სასურველი იქნებოდა, მასწავლებელს, ქართველი და აზერბაიჯანელი მშობლების დაახლოების მიზნით, მოეწვია მშობელთა კრება და პრობლემა მათთან ერთად

განეხილა. სავარაუდოდ, ორივე მხარე გამოთქვამდა პრობლემის გადაჭრის სურვილს, რადგან ამაში ისინი თავიანთი ინტერესების სრულ თანხვედრას დაინახავდნენ.

პედაგოგს უნდა აეხსნა მშობლისათვის, რომ იგი მის შვილს საერთოდ კი არ უკრძალავს აზერბაიჯანულად ლაპარაკს, არამედ მხოლოდ გაკვეთილზე. უნდა დაესაბუთებინა, რომ ეს გადაწყვეტილება ბავშვისთვის არის სასარგებლო, რადგან ენის შესწავლის ერთ-ერთი საუკეთესო გზა თანატოლებთან ამ ენაზე ურთიერთობაა. ამასთან, პირველ რიგში, მას მოსწავლისათვის უნდა აეხსნა, თუ რატომ იქნებოდა მათთვის უკეთესი სკოლაში ქართულად კომუნიკაცია. ენის სწავლების ეფექტური გზების ძებნაში მასწავლებელს მშობლისათვის უნდა ეთხოვა სასწავლო მიზნების მიღწევაში დახმარება, გამოეჩინა თავაზიანობა და მშობელთან თანამშრომლობის მზაობა.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №21

მასწავლებელი გვიამბობს: „სკოლა დიდი ღონისძიებისთვის ემზადებოდა. მზა-დებას სათავეში ედგა უცხოური ენის მასწავლებელი. მთელი ექვსი თვის გან-მავლობაში იგი თავდაუზოგავად შრომობდა, გამოყენა სკოლაში არსებული ყველა რესურსი: მოსწავლეებთან ერთად დაწერა სცენარი, მუსიკის პედაგოგ-თან ერთად შეარჩია მუსიკალური ფონი, ატარებდა რეპეტიციებს, გამოყენები-თი ხელოვნების მასწავლებელი დაიხმარა კოსტიუმების შესაკერად. არაჩვეუ-ლებრივი სპექტაკლი გამოვიდა. მასზე მონვეული იყვნენ მშობლები, მეზო-ბელი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, რაიონის ხელმძღვანელობა, საზოგადოების ნარმობადგენლები. დაიწყო ნარმოდგენა და სცენაზე ერთ-ერ-თი გოგონა კოსტიუმის ნაცვლად ჩვეულებრივი ტანსაცმლით გამოვიდა, რამ-აც სრული დისონანსი შეიტანა ნარმოდგენაში. სპექტაკლის შემდეგ, როდესაც სტუმრები დაიშალნენ, მასწავლებელმა თავი ვერ შეიკავა და მოსწავლეებისა და მშობლების თვალწინ გალანძდა გოგონა, ფიზიკურადაც შეეხო: თმები მო-ქაჩა. ბავშვი თავს იმართლებდა, რომ დააგვიანდა და ვერ მოასწრო ტანსაცმ-ლის გამოცვლა. მასწავლებელმა არ მიიღო მოსწავლის ახსნა-განმარტება და განაგრძობდა მის ლანდღვას. პედაგოგის საქციელმა გააბრაზა მშობლები. მან სკოლის დირექტორისაგანაც მიიღო საყვედური.“



### განათლების სპეციალისტი:

სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია კარგად დაგეგმილი კლასგარეშე საქმიანობა, სხვადასხვა ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლე-ნას, ბავშვებისა და პედაგოგების თანამშრომლობითი ურთიერთობების გაღ-რმავებას. აღნერილი სიტუაციიდან ჩანს, რომ უცხოური ენის მასწავლებელი დიდი ხნის განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობდა. მან გამოავლინა ორ-განიზატორული ნიჭი, თანამშრომლობის უნარი. მასწავლებელმა ღონისძიების სამზადისში ჩართო მოსწავლეები და ისინი აქცია ამ დიდი დღესასწაულის არა უბრალო მონაწილეებად, არამედ ნამდვილ თანაავტორებად: მან მოსწავლეე-ბთან ერთად დაწერა სცენარი, წარმატებით ითანამშრომლა თავის კოლეგებთ-ან, მუსიკისა და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგებთან და ხელი შეუწყო სკოლის პოტენციალის წარმოჩენას. პედაგოგის მიერ სკოლის როგორც ადამი-ანური, ასევე მატერიალური რესურსების მიზანმიმართული გამოყენება შეე-საბამება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს: პედაგოგმა „იცის სასკოლო

საზოგადოების წარმომადგენლებთან პროფესიული თანამშრომლობის მე-  
თოდები.“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, გვ.10)



### მასწავლებელი:

ბუნებრივია, პედაგოგს სურდა, რომ მისი, მისი კოლეგებისა და მოსწავ-  
ლების შრომის ნაყოფი რაც შეიძლება ეფექტური ყოფილიყო. ერთი ბავშვის,  
შესაძლოა, უპასუხისმგებლო საქციელის გამო კი ჩათვალა, რომ მთელი შრომა  
წყალში ჩაიყარა. მან ვერ შეძლო სიმშვიდის შენარჩუნება და შეურაცხყოფა მიაყ-  
ენა მოსწავლეს, რითაც, ფაქტობრივად, ფასი დაუკარგა ექვსთვიანი შრომით  
მიღწეულ წარმატებას, დღესასწაულს კი – ხალისი და, მადლობის ნაცვლად,  
სკოლის ხელმძღვანელობისა და მშობლების საყვედური დაიმსახურა.



### ფსიქოლოგი:

აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებელმა გოგონას თავის მართლების საშ-  
უალება არ მისცა. შესაძლოა, ბავშვს უპასუხისმგებლობის გამო არ დაუგვი-  
ანებია და ჰქონდა საპატიო მიზეზი. ამ ღონისძიების მონაწილე თავადაც იყო  
და, სავარაუდოდ, მასაც არანაკლებ დასწყდებოდა გული. მასწავლებელმა კი  
მიზეზის ახსნაც არ აცალა და საჯაროდ მიაყენა შეურაცხყოფა და ფიზიკურა-  
დაც კი შეეხო მას.

პედაგოგმა პრობლემურ სიტუაციაში ვერ შეძლო გამკლავებოდა საკუთარ  
ემოციებს, რითაც ჩრდილი მიაყენა საკუთარ და სკოლის რეპუტაციას. ყვე-  
ლასთვის გასაგებია, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში ძნელი, მაგრამ აუცი-  
ლებელი იყო, რომ მასწავლებელს თავი შეეკავებინა. არც ერთ სიტუაციაში  
არ არის პედაგოგიურად გამართლებული მასწავლებლისაგან მოსწავლის სიტყ-  
ვიერი, ფიზიკური ან სხვა სახის შეურაცხყოფა.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №22

მშობელი გვიამბობს: „ჩემს შვილს ჯერ კიდევ პალის ასაქში შევამჩნიე, რომ მარცხენა ხელს უფრო მოხერხებულად ხმარობს, ვიდრე მარჯვენას. არავითარი პრობლემა არ შემიქმნია ამის გამო არც ბავშვისთვის და არც საკუთარი თავისთვის. ბავშვმა იმ ხელით წეროს, რომლითაც ეხერხება. როდესაც ჩემი შვილი სკოლაში მივიყვანე, მასწავლებელმა დაიწყო „მუშაობა“, რომ ბავშვს მარჯვენა ხელით დაეწყო წერაც და ხატვაც. ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი. ერთხელ, როცა შვილს ვამეცადინებდი, ის ატირდა. მიზეზი ვკითხე, მან კი მიპასუხა, რომ მის კლასში ყველა მარჯვენა ხელით წერს და არ უნდა, რომ ბავშვებმა და მასწავლებელმა ცაცია დაუძახონ.“



### გასწავლებელი:

მასწავლებელმა სცადა ბავშვისათვის მარჯვენა ხელით წერა ესწავლებინა. სავარაუდოა, რომ მას კეთილი განზრახვა ამოძრავებდა. მარცხენა ხელით წერა მოუხერხებელია: ხელი ეფარება ნაწერ სტრიქონს ან ზემოთ დაწერილ ნიმუშს (თუ ბავშვს ზედა სტრიქონიდან გადაწერას სთხოვენ). გარდა ამისა, როგორც წესი, მარცხენა ხელით წერის გადაჩვევის ერთ-ერთი მოტივია ის, რომ ბავშვი დანარჩენი მოსწავლეებისაგან არ გამოირჩეოდეს. ადამიანებს ხშირად უჭირთ მათგან განსხვავებულის მიღება. როგორც სიტუაციიდან ჩანს, მოსწავლეს კლასში მასწავლებელი და კლასელები ცაციას ეძახიან და ამით ხაზს უსვამენ მის განსხვავებულობას, რასაც ბავშვი მტკიცნეულად განიცდის.



### განათლების საეციალისტი:

ჰედაგოგს არ აღმოაჩინდა უნარი, ბავშვის ამ ინდივიდუალურ თავისებურებასთან შეეგუებინა კლასი. სიტუაციის თანახმად, მშობლისთვის ეს ფაქტი მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, როცა ერთხელ, მეცადინეობისას, ბავშვმა ტირილი დაიწყო. მშობელს იმის შესახებ, რომ მის შვილს ცაციობის გამო სკოლაში პრობლემები ჰქონდა, უნდა შეეტყო არა შვილისგან, არამედ მასწავლებლისგან. ცაცია ბავშვის მშობელთან თანამშრომლობა და მისი პოზიციის გათვალისწინება (“ბავშვმა იმ ხელით წეროს, რომლითაც ეხერხება”) მოხსნიდა პრობლემას ორივე მხარისათვის.



## ფსიქოლოგი:

მარცხენა ხელის თანდაყოლილი უპირატესობა მარჯვენასთან შედარებით არის არა ადამიანის ფიზიკური ნაკლი, არამედ მისი ინდივიდუალური თავისებურება. ამ თავისებურებათა გაცნობიერება და გათვალისწინება სწავლების პროცესში მასწავლებლის მოვალეობად არის მიჩნეული, ცალსახად უნდა ითქვას, რომ საკუთრივ მოსწავლის სწავლაზე მისი ეს ინდივიდუალური თავისებურება არანაირ გავლენას არ ახდენს, არც წერის ხარისხზე არ აისახება და, ჩვეულებრივ, მხოლოდ დაწყებითი კლასის მასწავლებელს უქმნის ხოლმე გარკვეულ დისკომფორტს. ეს პროფესიონალ მასწავლებელს არ აძლევს იმის საფუძველს, რომ აიძულოს ცაცია მოსწავლე მარჯვენა ხელით წეროს.

შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ სიტუაციაში მასწავლებელი, რომელსაც „კარგი სურს“ ბავშვისათვის, მოსწავლეს უფრო დიდ სირთულეებს უქმნის. თუ მოსწავლისთვის მარცხენა ხელით წერა ბუნებრივი, ხელოვნურად ამის შეცვლამ, შესაძლოა, ბავშვის ემოციური და ფსიქიკური პრობლემები გამოიწვიოს.

პედაგოგს ვურჩევდით, ამ და მსგავს სიტუაციებში მიიღოს რჩევა ფსიქოლოგისაგან. არ აუკრძალოს ბავშვს მარცხენა ხელით წერა. აუხსნას მოსწავლეებს, რომ ისინი გაგებით მოეკიდონ თანაკლასელის განსხვავებულობას, ხელი შეუწყოს კლასში ტოლერანტული ატმოსფეროს ჩამოყალიბებას; მოუყვანოს მაგალითებად ის ცნობილი ადამიანები, რომლებიც მარცხენა ხელით წერდნენ (მეცენატები - საუკუნის უდიდესი ფიზიკოსი და მეცნიერი - ალბერტ აინშტაინი, დიდი გერმანელი პოეტი - იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ინგლისელი მომღერალი - პოლ მაკარტნი, მაიკროსოფტის დამფუძნებელი ბილ გეითსი და სხვა..).



შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №23

მოსწავლე მოგვითხრობს: „ერთხელ გაკვეთილზე უადგილოდ ვიხუმრე. მასწავლებელი დაფისკენ რომ მიტრიალდა, ქალალდისგან გაკეთებული თვითმფრინავი ვესროლე. ბავშვებმა სიცილი ატეხეს, მასწავლებელმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და კლასიდან გამაგდო. პატიება ვთხოვე. მან არ მიიღო ჩემი ბოდიში და ამიკრძალა გაკვეთილზე დასწრება. საქმეში ჩაერივნენ ჩემი დამრიგებელი, სასწავლო ნაწილი, დირექტორი, მაგრამ მასწავლებელმა უკან არ დაიხია. ჩემი აზრით, კონფლიქტი უნდა ამონურულიყო, რადგან ვინანე ჩემი საქციელი და მოვიხადე ბოდიში.“



### გასწავლებელი:

მოსწავლემ ქალალდის თვითმფრინავი უბრალოდ (უმისამართოდ) კი არ ისროლა კლასში ან თანაკლასელისაკენ კი არ მიმართა, არამედ უშუალოდ მასწავლებელს ესროლა და კლასმაც ამიტომ ატეხა სიცილი. ცხადია, მასწავლებლისათვის შეურაცხმყოფელი და გულსატკენია მოსწავლის ამგვარი ქმედება, მისი დაუყოვნებელი რეაქცია ბუნებრივია, მან დაიცვა თავისი პიროვნული ღირსება და საჯარო შეურაცხყოფა რეაგირების გარეშე არ დატოვა, თუმცა მას შემდეგ, რაც მოსწავლემ აღიარა თავისი შეცდომა და ბოდიში მოიხადა, ვფიქრობ, მასწავლებელს იგი უნდა დაეშვა გაკვეთილზე.



### განათლების სპეციალისტი:

პედაგოგი აშკარად ვერ ახერხებს ამ კონფლიქტური სიტუაციის უემოციოდ, მშვიდად გაანალიზებას, არ უსმენს მოსწავლეს (და შესაბამისად, ვერც ხედავს, რომ ის ნანობს თავის საქციელს), არ ითვალისწინებს არც კოლეგების შუამდგომლობას. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელი ამგვარი არაადეკვატური პრინციპულობით აზარალებს ბავშვს. ის მოსწავლეს გაკვეთილზე დასწრების ნებას არ რთავს. შესაბამისად, თავის საგანში განათლების მიღების შესაძლებლობას ართმევს და ამით ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებების კონვენციას. განათლების მიღების შესაძლებლობა, ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, მისი უმნიშვნელოვანესი უფლებაა (იხ. ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხლი 27).

ალსანიშნავია შემდეგიც: გაკვეთილს გარეთ უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბავშვის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია მასწავლებელი, რასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ითვალისწინებს.



### ფსიქოლოგი:

მასწავლებელმა ვერ დაიცვა ზომიერება და ვერ შეინარჩუნა სიმშვიდე ამ კონფლიქტურ სიტუაციაში, რამაც ხელი შეუშალა ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. სიტუაციიდან არ ჩანს, რომ მოსწავლეს ამ საქციელით მასწავლებლის პიროვნული ღირსების შეურაცხყოფა სურდა. არც ის ჩანს, რომ მისი ამგვარი საქციელი სისტემატურ ხასიათს ატარებდა („ერთხელ“). მოსწავლე გულწრფელად ამბობს, რომ ვერ ხვდება, რატომ არ შეიძლება მასწავლებელმა კონფლიქტი დასრულებულად ჩათვალოს: მან ხომ მოინანია საკუთარი საქციელი და ბოდიშიც მოიხადა.

მაგრამ ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს პედაგოგი მსგავს სიტუაციებში? მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: ასეთ შემთხვევაში მოსწავლეს ამოძრავებს ერთი მიზანი – მას სურს გამოიწვიოს მასწავლებელი. რაოდენ ძნელიც უნდა იყოს, პედაგოგი არ უნდა „წამოეგოს“ მოსწავლის პროვოკაციაზე და თავდაჯერებული სიმშვიდით გააგრძელოს გაკვეთილი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსწავლის საქციელი და მასწავლებლის შეურაცხყოფა უპასუხოდ უნდა დარჩეს. გაკვეთილის შემდეგ მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეს, რატომ არის მისი საქციელი პედაგოგისთვის შეურაცხმყოფელი და ზოგადად მიუღებელი.

თუ მოსწავლის საქციელი საგაკვეთილო პროცესს ჩაშლით ემუქრება და მასწავლებელი საჭიროდ ჩათვლის მოსწავლის კლასიდან გაძევებას, მან უნდა უზრუნველყოს ის, რომ კლასიდან გაშვებული ბავშვი დერეფანში უმეთვალყურეოდ არ დარჩეს. როდესაც მოსწავლე ნანობს თავის საქციელს და ბოდიშს იხდის, პედაგოგმა დიდსულოვნების მაგალითი უნდა მისცეს, მიიღოს ბავშვის ბოდიში და მიუტევოს.

არ არის რეკომენდებული, მასწავლებელმა ბავშვს დიდი ხნით აუკრძალოს გაკვეთილზე დასწრება. ამასთანავე, გაკვეთილიდან გაძევება შეიძლება ცუდი ქცევის ერთ-ერთი წამახალისებელიც კი გახდეს ისეთი ბავშვებისათვის, რომელთაც გაკვეთილზე დასწრება არ სურთ.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №24

მოსწავლე გვიამბობს: „IX კლასში ვარ. ჩემი თანაკლასელი ნიკა ახალი სასწავლოდან სულ შეიცვალა. აღარ სწავლობს და გაკვეთილის მსვლელობისას თანაკლასელებთან ლაპარაკითა და ხმაურით ხელს უშლის მასწავლებლებს. ერთხელ, როდესაც დაფასთან გაძახებულმა ნიკამ უარი თქვა გაკვეთილის მოყოლაზე, რადგან მას მასალა ისევ არ ჰქონდა ნასწავლი, ისტორიის პედაგოგმა კლასის ნინაშე მიმართა დამამცირებელი სიტყვებით: დებილო, უნამუსო, დეგენერატო და სხვა. ნიკამ არ მოუთმინა და შეეპასუხა: „თქვენ შეგიძლიათ, დამიწეროთ რა ნიშანიც გინდათ, მაგრამ არ გაქვთ ჩემი შეურაცხყოფის უფლება.“ ამისათვის პედაგოგმა ნიკა კლასიდან გააგდო.



### მასწავლებელი:

მასწავლებლის მიერ მოსწავლის სიტყვიერი ან სხვა სახის შეურაცხყოფა პედაგოგიურად არასწორი ქმედება. ცხადია, რომ რთულია მასწავლებლისათვის კლასის მართვა, როდესაც მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობას ხელს უშლის ლაპარაკით და ხმაურით. თუ ამას ემატება ისიც, რომ ის სისტემატურად არ ამზადებს გაკვეთილებს, კიდევ უფრო გასაგები ხდება მასწავლებლის გაღიზიანება. ნიკა არც თვითონ სწავლობს და მასწავლებელსაც უშლის ხელს იმაში, რომ მან მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი ენერგია გაკვეთილის ეფექტიანად წარმართვისათვის. მაგრამ მოსწავლის შეურაცხყოფა ამ სიტუაციას უკეთესობისაკენ ვერ შეცვლის.



### განათლების საეციალისტი:

ნიკას თანაკლასელი სიტუაციის აღნერისას გვიყვება, რომ იგი მიმდინარე სემესტრის განმავლობაში აღარ სწავლობს გაკვეთილებს, ანუ ადრე ნიკა შედარებით კარგი მოსწავლე იყო. ბავშვის აკადემიური მოსწრების გაუარესება სხვადასხვა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს (კონფლიქტურმა სიტუაციებმა ოჯახში, ავადმყოფობამ, ბავშვისათვის არაადეკვატურად დიდმა დატვირთვამ და ა. შ.). თუმცა, გარდატეხის ასაკში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოზარდის აკადემიური მოსწრება და ქცევა უარესდება იმის გამო, რომ ის თვითდამ-

კვიდრებას, თანატოლების კეთილგანწყობისა და პატივისცემის მოპოვებას ცდილობს უკვე არა კარგი სწავლით, არამედ გამომწვევი ქცევით. შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც სწორედ ეს განაპირობებს მოსწავლის შეცვლას. მაღალკვალიფიციური მასწავლებელი, რომელიც „აცნობიერებს მოსწავლეების განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და მათ გავლენას სწავლებასა და სწავლაზე“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, გვ. 6), ითვალისინებს მოსწავლის, ამ შემთხვევაში ნიკას, ასაკობრივ ან ინდივიდუალურ თავისებურებებს, არ შეურაცხყოფს მოსწავლეს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი – კლასიდან გაგდება. ნიკამ მასწავლებლის შეურაცხყოფას შეურაცხყოფითვე არ უპასუხა, მხოლოდ მიუთითა, რომ მას მოსწავლის გალანძლვის უფლება არ ჰქონდა. პედაგოგი ამან კიდევ უფრო გააღიზიანა, ნიკას რეპლიკა პროფესიულ შეურაცხყოფად აღიქვა და მოსწავლე კლასიდან გააგდო. მან ვერ შეძლო საკუთარი ემოციების მართვა, ვერ შეინარჩუნა სიმშვიდე.



### ჯსიქოლოგი:

მოცემული სიტუაციის ანალიზისას გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ნიკა IX კლასშია, ანუ გარდატეხის ასაკში. ამ ასაკში მოზარდს უძნელდება ურთიერთობა მშობლებთანაც და მასწავლებლებთან. გარკვეულ-წილად სწორედ მასწავლებელზეა დამოკიდებული, რამდენად უმტკიცნეულოდ ჩაივლის ეს ასაკი.

სამწუხაროდ, ასეთი პედაგოგი, როგორიც მოცემულ სიტუაციაში გვხვდება, ვერ მისცემს მოსწავლეებს ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქცევის მაგალითს.

მასწავლებლის მხრიდან საკმარისი იქნებოდა მოსწავლის შეფასება სათანადო დაბალი ქულით, მაგრამ ამის ნაცვლად მან მთელი კლასის წინაშე შეურაცხყოფა მიაყენა ნიკას. უდავოა, რომ ბავშვის შეურაცხყოფა არც ერთ ასაკში არ შეიძლება, მაგრამ განსაკუთრებით სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ფაქტს გარდატეხის ასაკის მოზარდისათვის. ისინი მწვავედ აღიქვამენ ნებისმიერ კრიტიკას და, მით უმეტეს, შეურაცხყოფას.

პედაგოგს უნდა ეცადა, გაკვეთილის შემდეგ ნიკასთან გულახდილი საუბრისას გაერკვია, რამ გამოიწვია მისი შეცვლა; ბავშვის ინტერესების, მისი გატაცებებისა და თავისებურებების უკეთ შესწავლის მიზნით, მოეპოვებინა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ნიკას შესახებ კლასის ხელმძღვანელისგან, მშობლებისაგან, ეთანამშრომლა მათთან, რათა ერთობლივად გამოენახათ ნიკას სასწავლო პროცესში ჩართვის გზები და საშუალებები.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №25

მშობელი გვიამბობს: „ოთახში შევედი, მაგრამ ჩემმა მეათეკლასელმა ვაჟმა ვერც კი შეამჩნია ეს, ისე იყო ტელეფონზე ლაპარაკით გართული. უნებურად გავხდი მისი სატელეფონო საუბრის მოწმე. იგი მეგობარს თავის მასნავლებელზე ესაუბრებოდა ამ ასაკის მოზარდისთვის დამახასიათებელი ლექსიკით: „რანაშააიცი, ჭუიდანაინევი... გაშტერებული ვუყურებ მთელი გაკვეთილი, ვის აქვს გაკვეთილის მოსმენის თავი, ნეტა ყოველდღე გვქონდეს მისი გაკვეთილი.“ ცოტა შევშფოთდი და გადავწყვიტე, მენახა მასნავლებელი. მისმა ნახვამ კიდევ უფრო შემაშფოთა: შემოტმასნილ ქვედაკაბაში და ზედმეტად დეკოლტირებულ მაისურში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი ნაკლებად ჰგავდა მასნავლებელს. „ნუთუ დირექცია ვერ ამჩნევს, მასნავლებელს ასე გამომწვევად რომ აცვია?“ გავიფიქრე შეშფოთებულმა, ჩვენს მოზარდებს კიდევ ეს უნდათ?“



### ფსიქოლოგი:

პედაგოგი ვალდებულია, გაითვალისწინოს მოსწავლეების განვითარების ასაკობრივი თავისებურებები და თავისი გამომწვევი ჩაცმულობითა თუ ქცევით არ შეუქმნას მათ გაკვეთილზე სწავლის დამაბრკოლებელი გარემოებები. მეათეკლასელ ვაჟს ექმნება კონცენტრაციის პრობლემები, როდესაც მის პედაგოგს სკოლისათვის შეუფერებელი სამოსი აცვია.



### მასწავლებელი:

პედაგოგის ჩაცმულობა და გარეგნული იერი ძალიან მნიშვნელოვანია სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. მასწავლებელი არც მეტისმეტად გამოპრანჭული უნდა გამოცხადდეს მოსწავლეების წინაშე და არც დაუდევრად ჩაცმული უნდა ეჩვენოს მათ. მასწავლებლის ჩაცმულობა ხელს არ უნდა უშლიდეს სასწავლო პროცესს. სასურველია, რომ სკოლაში არსებობდეს პედაგოგებსა და დირექციას შორის შეთანხმებული წესები მასწავლებლის ჩაცმულობაზე და ყველა პედაგოგი ემორჩილებოდეს ამ წესებს.



## განათლების სპეციალისტი:

გასათვალისწინებელია, რომ ამ ახალგაზრდა ქალბატონის სამუშაო ადგილი სკოლაა. ის სამოსი, რომელიც შეიძლება მისაღები იყოს სხვაგან, ხშირად სრულიად შეუფერებელია სკოლისათვის. სწორედ ამას ვერ ითვალისწინებს ახალგაზრდა მასწავლებელი და თავისი გამომწვევი ჩაცმულობით ხელს უშლის გაკვეთილისთვის განკუთვნილი დროის მაქსიმალურად ეფექტურად და სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებას.

თუ სკოლის შინაგანანესი არ არეგულირებს მასწავლებლის ჩაცმის კულტურას, მაშინ სასურველია, მასში შევიდეს შესაბამისი ცვლილება. ამით თავიდან იქნება აცილებული მსგავსი შემთხვევები, ხოლო თუ შინაგანანესში შესაბამისი მუხლი უკვე არსებობს, ახალგაზრდა პედაგოგს მის დარღვევაზე უნდა მიეთითოს.

გარდა ამისა, ახალგაზრდა მასწავლებელი უნდა შეეცადოს შეძლების-დაგვარად გაითვალისწინოს მშობლების შეხედულებები ზოგადად მასწავლებლის ჩაცმულობაზე, რათა კეთილგანწყობა და თანამშრომლობითი ურთიერთობა შეინარჩუნოს მათთან.



შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №26

მოსწავლე მოგვითხრობს: „ზოგად პიოლოგიას მასწავლის ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელიც ინგლისში სწავლობდა და ახალი ჩამოსულია. ის ყველას ძალიან მოგვწონს; მეგობრულია, თბილია. თავისი საგანი კარგად იცის და ცდილობს, ჩვენც გვასწავლოს და შეგვაყვაროს. მაგრამ მე პირადად მისი ახსნილი გაკვეთილების გაგება ძალიან მიჭირს. ის ხშირად იყენებს უცნობ ტერმინებს და სიტყვებს უცხო ენიდან. მართალია, უფლება მოგვცა, როგორც კი რომელიმე სიტყვას ვერ გავიგებთ, მაშინვე ვკითხოთ და ისიც საფუძვლიანად გვიხსნის გაუგებარი სიტყვის მნიშვნელობას, მაგრამ მაინც რთულია მასწავლებელს ნარამარა გააწყვეტინო საუბარი და თან მისი ახსნილი გაიგო და ამდენი ახალი სიტყვა დაიმახსოვრო.“



### მასწავლებელი:

სწორად და გამართულად მეტყველება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში. თუ მასწავლებელი არასწორად მეტყველებს ან უცხო სიტყვებსა და გამოთქმებს იყენებს გაკვეთილის მსვლელობისას, მოსწავლეები მასწავლებლის ნათქვამის დიდ ნაწილს ვერ გაიგებენ და, სავარაუდოდ, ისევე არასწორად იმეტყველებენ, როგორც მათი პედაგოგი. ეს ეთიკურად და პედა-გოგიურად გაუმართლებელია მასწავლებლის მხრიდან. რა ენაზეც მიმდინარებს სწავლება სკოლაში, იმ ენაზე სწორად მეტყველება დაცული უნდა იქნეს მასწავლებლების მიერ, განსაკუთრებით კი, როდესაც საქმე ეხება ქართულ ენას. ქართული ენის სიწმინდის დაცვა, სახელმწიფო ენაზე გამართული მეტყველება ყველა პედაგოგის უპირველესი მოვალეობაა.



### განათლების საეციალისტი:

მასწავლებელი არა მარტო საგნობრივ ცოდნას უნდა გადასცემდეს მოსწავლეებს, არამედ გამართული მეტყველების მაგალითსაც უნდა აძლევდეს მათ. ეს ეხება არა მარტო ქართული ენისა და ლიტერატურის, არამედ ყველა სხვა საგნის მასწავლებლსაც. სწავლების ენა მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს. სამწუხაროდ, ჩვენი მეტყველება ხშირად ბინძურდება დიალექტიზმებით, ჟარ-

გონით, ბარბარიზმებით, კალკებითა და სხვ.. ამას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. მოყვანილ სიტუაციაში ასეთ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მასწავლებელი გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა საზღვარგარეთ და იქ აქვს განათლება მიღებული. როგორც ჩანს, სიტუაციაში აღწერილი მასწავლებელი კვალიფიციური სპეციალისტია, თუმცა მაღალკვალიფიციური მასწავლებლობა სახელმწიფო ენის კარგ ცოდნასაც გულისხმობს.



### ფსიქოლოგი:

უცხოენოვან გარემოში დიდი ხნით ცხოვრება განაპირობებს იმას, რომ სამშობლოში დაბრუნებულებს ხშირად მშობლიურ ენაზე ლაპარაკისას გვახსენდება და ჩვენდა უნებურად ვიყენებთ სიტყვებსა თუ გამოთქმებს იმ უცხო ენაზე, რომელზეც ვმეტყველებდით ბოლო ხანებში. როგორც ჩანს, აღწერილ სიტუაციაშიც ასეა. მოსწავლე აღნიშნავს, რომ, გარდა მისთვის უცნობი ტერმინებისა, მასწავლებელი ხშირად იყენებს სიტყვებს უცხო ენიდან. ზოგადი ბიოლოგია საკმაოდ რთული საგანია და მისი სწავლებისას პედაგოგი გვერდს ვერ აუვლის ისეთ ტერმინოლოგიას, როგორიცაა, მაგალითად, გენოტიპი, ზიგოტა, ნუკლეიინები და ა.შ. ის განმარტავს უცხო სიტყვებს, მაგრამ მისი მეტყველება უცნობ ტერმინებთან ერთად უცხოენოვანი სიტყვების სიმრავლის გამო მოსწავლეთათვის მაინც ძნელად გასაგები რჩება.

სასურველია, მასწავლებელმა, გაკვეთილზე უცხოენოვანი (ამ შემთხვევაში ინგლისური) და ბევრი უცნობი ტერმინი ერთბაშად არ გამოიყენოს.

საერთოდ კი, თუ ქართულ ენაში არსებობს შესატყვისი ტერმინები, მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს უცხო ენიდან სიტყვების გამოყენებას. ამით პედაგოგი ახალი მასალის ათვისებას გაუადვილებს მოსწავლეებს და მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის მაგალითს მისცემს მათ.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №27

მშობელი მოგვითხრობს: „მეექვსე კლასელმა ბიჭმა მასზე ასაკით პატარას ფული გამოსძალა. კლასის ხელმძღვანელმა, პრობლემის მოგვარების მიზნით, საქმის კურსში ჩააყენა დირექცია, დირექციამ კი მშობელი დაიბარა, რასაც მოჰყვა მშობლის მხრიდან უკმაყოფილება, რომ მისი შვილის საქციელი გახმაურდა.“



### გასწავლებელი:

მასწავლებელი ადეკვატურად იქცევა, რადგან ფულის გამოძალვის შემთხვევას რეაგირების გარეშე არ ტოვებს და სიტუაციაში ჩარევით ცდილობს, დაიცვას როგორც მოძალადე, ისე ძალადობის მსხვერპლი. იგი დაკვირვებული და ყურადღებიანია. სწორად აფასებს, რომ პრობლემა რთულია და მასთან მარტოს გამკლავება გაუჭირდება.

მშობლის უკმაყოფილება და გაბრაზება, სავარაუდოდ, გამოიწვია იმან, რომ პედაგოგმა, ოჯახის გვერდის ავლით, ბავშვის საქციელი დირექციის მსჯელობის საგნად აქცია, ანუ ჯერ ოჯახს კი არ დაუკავშირდა, არამედ პირდაპირ დირექციას აცნობა მომხდარი.



### განათლების სპეციალისტი:

მაღალკალიფიციურმა მასწავლებელმა „იცის, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობები, მოაგვაროს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით და ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას.“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, გვ.7);

კლასის ხელმძღვანელმა სიტუაციის დასარეგულირებლად მომხდარის შესახებ უნდა აცნობოს პირველ რიგში ორივე ბავშვის დამრიგებლებს. პედაგოგებმა ერთად უნდა უზრუნველყონ მშობლებისა და დირექციის ინფორმირება. თუ სკოლას ამის რესურსი აქვს, რჩევისათვის მიმართონ ფსიქოლოგს.



### ჟსიქოლოგი:

მსგავს სიტუაციაში, სასურველია, მასწავლებელმა და ფსიქოლოგმა შეკრიბონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია „გამომძალველი“ მოსწავლის შესახებ (მაგალითად, მის ოჯახურ მდგომარეობაზე), რაც მათ დაეხმარება უკეთ გაერკვნენ სიტუაციაში. დიალოგი უნდა შედგეს ჯერ მოსწავლესთან მარტო და თუ სიტუაცია მოითხოვს, შემდეგ მშობელთან ერთად.

ასეთ სიტუაციაში სასურველია მეთოდის – ეგრეთ წოდებული „დიალოგი წრეში“ გამოყენება. ეს მეთოდი ითვალისწინებს ყველა მხარის, როგორც „დაზარალებულის“, ასევე „დამნაშავის“ დიალოგში ჩართვას. სიტუაციის მიხედვით, შეიძლება ამაში მონაწილეობას იღებდნენ მშობლებიც, თუმცა ეს ყოველთვის აუცილებელი არ არის. თითოეული გულახდილად ისაუბრებს საკუთარ მდგომარეობაზე. მოძალადე მოსწავლე არ უნდა ავავსოთ საყვედურებით. დიალოგის მოდერატორმა, მაგალითად, ფსიქოლოგმა ან დამრიგებელმა, საუბარი იქით უნდა წარმართოს, რომ მოსწავლემ თავად გააკეთოს სწორი დასკვნები. ეს მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ „მოძალადე“ იგრძნობს იმ პედაგოგების თანადგომას, რომლებიც მოსწავლის მოქმედებას უარყოფითად აფასებენ, მაგრამ გამოსავალს მასთან ერთად ეძებენ და ინტერესდებიან მისი პიროვნებით.

შენიშვნებისთვის

## სიტუაცია №28

მშობელი გვიამბობს: „მოსწავლეებმა მასწავლებელს მიართვეს ოქროს საყურედა თან უთხრეს: მანანა მასწავლებელი, ჩვენ თქვენთვის მადლობის გადახდა გვინდა, რადგან ჩვენთვის ასეთი კარგი მასწავლებელი ხართ. მანანა მასწავლებელმა აიღო ეს საჩუქარი და ამბობს, რომ მას დიდი სიყვარულით ატარებს. ის არ თვლის, რომ ქრთამი აიღო, არამედ ასეთი სახით მიიღო მადლობა თავისი მოსწავლეებისაგან.“



### გასძავლებელი:

მანანა მასწავლებელმა საჩუქარი მოსწავლეების სიყვარულის ნიშნად მიიღო. ეს სავსებით გასაგებია; მან თავისი ქცევით ასიამოვნა ბავშვებს, აგრძნობინა კეთილგანწყობა. მაგრამ საყურე შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც საჩუქარი მოსწავლეებისათვის უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ, რადგან, მოცემული სიტუაციის მიხედვით, მანანა მასწავლებელი ჯერ კიდევ ასწავლის ბავშვებს, რომლებმაც მისთვის საყურე შეიძინეს (ისინი აწმყო დროში იხსენიებენ მას მასწავლებლად). იქმნება ერთგვარი უხერხულობა და ამისი უეჭველი დასტური თავად მანანა მასწავლებლის პოზიციაა: მას, თუმცა ამ ოქროს საყურეს „დიდი სიყვარულით ატარებს“, მაინც უწევს მტკიცება სხვისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც, რომ ქრთამი კი არ აიღო, „არამედ ასეთი სახით მიიღო მადლობა თავისი მოსწავლეებისაგან.“

მიუხედავად იმისა, რომ მანანა მასწავლებელი საყურეებს მადლიერების გამოხატულებად მიიჩნევს, არის საშიშროება, რომ ამ საჩუქრის მიღების შემდეგ იგი ვერ შეინარჩუნებს ობიექტურობას და ამ კლასის მოსწავლეებს რაიმე სახის უპირატესობას მიანიჭებს. პედაგოგმა ობიექტურობა რომც შეინარჩუნოს, ყოველთვის აღმოჩნდება ვინმე, ვინც ეჭვს შეიტანს მის არა მარტო ობიექტურობაში, არამედ კეთილსინდისიერებაშიც.

სხვაგვარად იქნებოდა საქმე, საჩუქარი რომ გაეკეთებინათ სკოლადამთავრებულ, მადლიერ მოსწავლეებს. მასწავლებელი ველარ იქნებოდა არაობიექტური, ველარავის მიანიჭებდა უპირატესობას, რადგან მადლიერება გამოხატეს მისმა ყოფილშა მოსწავლეებმა.



## განათლების სპეციალისტი:

საყვარელთაოდ ცნობილია, რომ მოსწავლეებს ხშირად უჩნდებათ უანგარო სიყვარულისა და მადლიერების უსაზღვრო გრძნობა თავისი მასწავლებლების მიმართ და ამ სიყვარულისა და მადლიერების გრძნობის რაიმე მატერიალურით გამოხატვის სურვილი. საყვარელი მასწავლებლის მხრიდან მათი ამ სურვილის დათრგუნვამ შეიძლება მომავალში უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს და ადამიანებს მადლიერებისა და სიყვარულის გამოხატვის ხალისი დაუკარგოს. მასწავლებლის ამოცანა მათი ამ სურვილის სწორი გზით წარმართვა, ჯანსაღი ღირებულებებისა და ჭეშმარიტი ფასეულობების ჩამოყალიბებაა.

მეორე მხრივ, მასწავლებელმა თავისი საქციელით, შესაძლოა, უბიძოს მოსწავლეებს იმისაკენ, რომ ბავშვებმა ზედმეტი მნიშვნელობა მიანიჭონ მატერიალურ ღირებულებებს. მოსწავლეებს შეიძლება შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მადლობის გადახდის ყველაზე ეფეტური ფორმა მატერიალური საჩუქარია. აღსანიშნავია ისიც, რომ დამატებითი პრობლემები შეიძლება შეიქმნას იმის გამო, რომ ყველა ბავშვი არ არის მატერიალურად თანაბრად უზრუნველყოფილი და ამგვარი მოსწავლეები, შესაძლოა, დაითრგუნონ იმის გამო, რომ თანაკლასელების მსგავსად ვერ შეძლებენ საჩუქრის შესაძენად ფულის სკოლაში მოტანას.

მაგრამ თუ მაინც მოხდა ფაქტი და მოსწავლეებმა საჩუქრი მიართვეს მასწავლებელს, როგორ უნდა მოიქცეს იგი? დაუბრუნოს მოსწავლეებს მისთვის მირთმეული საჩუქარი, თუ სხვა გზას შეუძლია მიმართოს?

მასწავლებელს საჩუქრის გამოყენება შეუძლია მოსწავლეებში ეთიკური და სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბების მიზნით. მაგალითად, მანანა მასწავლებელს, მისთვის ნაჩუქარი ოქროს საყურისთვის მადლობის გადახდასთან ერთად, შეეძლო, შეეთავაზებინა მოსწავლეთათვის ამ საჩუქრის შენირვა ნივთის ან მისი გაყიდვით აღებული საფასურის სახით რომელიმე ფონდისთვის, რომელიც მზრუნველობამოკლებულ, ავადმყოფ ან დევნილ ბავშვებს ეხმარება, ან უშუალოდ დახმარებოდნენ რომელიმე ასეთ კონკრეტულ ბავშვს. ამ შემთხვევაში მოიხსნებოდა ყოველგვარი უხერხულობა და მასწავლებლის საქციელი მისაბაძი მაგალითი გახდებოდა თითეული მოსწავლისათვის.



## ფსიქოლოგი:

იმისათვის, რომ მოსწავლეებში მადლიერებისა და სიყვარულის გამოხატვის სურვილი არ დათრგუნოს და საჩუქრის უკან დაბრუნებით გული არ ატკინოს, მასწავლებელმა უნდა აუხსნას ბავშვებს საკუთარი ქცევის ღირებულებითი ასპექტები. ის, რომ ამგვარი საჩუქრარი მასში ერთგვარი უხერხულობის გრძნობას იწვევს და რომ სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა შეიძლება სხვაგვარადაც. მისთვის უფრო ძვირფასი იქნება მათივე ხელით დამზადებული რაიმე ნივთი, თუნდაც ბარათები.

პედაგოგისათვის დაუვიწყარ და უფრო მეტად ღირებულად არამატერიალური საჩუქრი შეიძლება იქცეს, თუ ის მოსწავლეების სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებაა. ერთმა პედაგოგმა ასეთი რამ მოგვითხრო: „იმ დღეს ჩემი დაბადების დღე იყო. სკოლაში ჩვეულებისამებრ მივედი და გაკვეთილების ჩატარებასაც ჩვეულებრივად ვაპირებდი. კლასში შევედი და სახტად დავვრჩი, არც ერთი მოსწავლე არ იჯდა თავის ადგილზე. ისეთი სიბრაზე შემომაწვა, ლამის ცრემლები გადმომცვიდა. სად დაიკარგა მთელი კლასი, ამის გაფიქრება ძლივს მოვასწარი და უცებ მერხების ქვემოდან წამოიშალა მთელი კლასი და დაიწყეს სიმღერა: „რა ლამაზი დღეა!..“ შემომეხვივნენ, მილოცავდნენ და თან მკოციდნენ. ეს იყო ჩემთვის დაუვიწყარი დაბადების დღე, ჩემი მოსწავლეებისაგან მიღებული საუკეთესო საჩუქრარი.“



შენიშვნებისთვის

## რეკომენდაციული ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი, ი. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1989.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2009-2010 სასწავლო წელი.
3. ვისწავლოთ ერთად, ინკლუზიური განათლება, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2008.
4. თერნბული, ჯ. პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009 წელი.
5. მარზანო, ჯ. ეფექტური სწავლება სკოლაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.
6. მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელო 3 ნაწილად (განვითარებისა და სწავლის თეორიები; სწავლება და შეფასება; სასწავლო და პროფესიული გარემო), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008.
7. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2008.
8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2008.
9. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2007.
10. ტაბატაძე, შ.; ნაცვლიშვილი, ნ. ინტერკულტურული განათლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.
11. ჭავჭავაძე, ი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987.